№ 7 8717—1905 № 7

ოთხშაბათი, 23 თებერვალი. ოთხშაბათი, 23 თებერვალი.

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія"

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: [illegible] სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ცალკე ნომერი კაპ. 3 ცალკე ნომერი კაპ. 3

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია"
1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.
წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს
პრემიად 12 წიგნს
საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა", რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.
გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სურათები და ილლუსტრაციები.
გაზეთის ფასი: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.
რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

სახაზინო თეატრი.
ანტრეპრ. საიმპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ოთხშაბათს, 23 თებერვალს, ბ-ნ პორუბინოვსკის საბენეფისოდ, ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება
„მეფისტოფელი"
ოპერა 5 მოქ., მუსიკა ბოიტოსი.
მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ვიკშემსკაია, დონსკაია-ეიხენვალდი, პუნაკოვა; ბ-ნნი დონსკოი, პორუბინოვსკი, [illegible]ინსკი. კაპელმეისტერი ეიხენვალდი. რეჟისორი გეცევიჩი.
ხუთშაბათს, 24 თებერვალს, ქართული წარმოდგენა. ბ-ნ კოტე მესხის საბენეფისოდ; ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება „რუი-ბლაზი", დრამა 5 მოქ., ვ. ჰიუგოსი.
პარასკევს, 25 თებ.—ორი წარმოდგენა იქნება. დილით „რუსლანი და ლიუდმილა", საღამოთი ქ-ნ დონსკაია-ეიხენვალდის საბენეფისოდ—„M-lle ნიტუში".

აბონემენტის გარეშე.
სახაზინო თეატრი.
სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა.
ხუთშაბათს, 24 თებერვალს,
→ ბენეფისი კ. მესხისა ←
ვ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ცნობილი პიესა
რუი-ბლაზი,
დრ. 5 მოქ. ვ. ჰიუგოსი, თარ. პ. ყიფიანისა და კ. მესხისა.
მონაწილეობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ნ. ჩხეიძე, მესხი და სხ. ბ-ნნი ვ. მესხიშვილი, მესხი, გუნია, სვიმონიძე და სხ.
რეჟის. კ. მესხი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. ყ. ჩიქოვანი—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ქირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
გ. სოლოღაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.
ექიმი-ქალი ა. ე. შჩერბინინა—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
საღამოობით:
გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მხურვალთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი კ. გძელიშვილი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დისხამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8 საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

## პრესსის თავისუფლება.

ამ სამი დღის წინად ტფილისის ყველა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმა დეპეშა გაუგზავნეს სახელმწიფო საბჭოს წევრს კობეკოს, რომელიც თავმჯდომარეა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონების გადასასინჯად შემდგარ კომისიისა, და სთხოვეს, რომ კომისიაში მიწვეულ იქმნენ კავკასიის პრესსის წარმომადგენელნი და ჩვენს მხარეშიაც მიეცეს ბეჭდვითი სიტყვას თავისუფლება და ცენზურისაგან დამოუკიდებლობა.

არა გვგონია, ჩვენს მკითხველებში იყოს ვინმე ისეთი, რომელსაც,—იმ საფუძვლით, რომ თვითონ რუსეთში პრესსის თავისუფლების დაკანონებას დღე-დღეზე მოელიანო,—ზედმეტად და უადგილოდ ეჩვენოს ამგვარ შუამდგომლობის აღძვრა და ადგილობრივ მოთხოვნილების გამოცხადება. რუსულ გაზეთებიდან ვიცით, რომ კობეკოს კომისიას მიუღია პრინციპი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისა და გადაწყვეტილი აქვს შეიმუშაოს ისეთი კანონ-პროექტი, რომელიც, როცა დაკანონდება, თავისუფლებას მიანიჭებს რუსეთის პრესსას. სამწუხაროდ, იმავე გაზეთებმა გადმოგვცეს, რომ ახალი კანონები მხოლოდ შუაგულ რუსეთის ბეჭდვითი სიტყვას ექნება და იგი არ შეეხება იმ პრესსას, რომელიც აღმოსავლეთის (ე. ი. ქართულ, სომხურ, თათრულ და სხვ.) ენებზე იბეჭდებაო.

ეს ამბავი იმის მომასწავებელია, რომ რუსეთში ბნელეთის მოყვარეთ ჯერ კიდევ ძალა და გავლენა აქვთ. „ბირჟ. ვედომ."-ის სიტყვით, კობეკოს კომისიაში ურევიან ისეთი პირები, რომელნიც ხელებს ასავსავებენ, როცა არა რუსულ პრესსის თავისუფლებაზე ლაპარაკს გაიგონებენ. „ინოროდცები რუსეთში ცხოვრობენო,—უთქვამს კომისიის ერთ წევრს,—და ისწავლონ კიდეც რუსული ლაპარაკი და წერა, თუ მართლა სურთ, რომ თავისუფალი სიტყვა გაიგონონო"...

რასაკვირველია, ასეთი „ლიბერალობა" ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია: თავისუფალი ხარ იმ ენაზე სწერო და იკითხო, რომელიც არ იცი და არ გაგეგება!.. თავისუფალი ხარ, რაც გინდა, ის სწერო და ბეჭდო, ოღონდ ხელი აიღე თავის გვარ-ტომობაზე და ისურვე გადაგვარება.., ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა „სორტისაა" ესეთი „ლიბერალობა".

დღეს მთელი რუსეთი ხედავს, რომ პრესსის დამონებამ და დამუნჯებამ უფსკრულამდის მიიყვანა საზოგადოება და ცხოვრება. ბიუროკრატია დაუბრკოლებლად ნავარდობდა ქვეყანაში, სადაც მის წინააღმდეგ არავის შეეძლო ენის დაძვრა და ხმის ამოღება. დღეს უკვე დარწმუნდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, ხალხი, საზოგადოება თავს მაღლა სწევს და ბოლოს უღებს დაბეჩავებას. მას აღარ უნდა, ბიუროკრატია ისე უკანტროლო იყოს, როგორც იყო აქამდის, და თხოულობს სიტყვისა და წერის თავისუფლებას.

და ამ დროს მოიპოვებიან ისეთი „ლიბერალები", რომელნიც სხვა ერებს უარს ეუბნებიან იმაზე, რასაც თვითონვე საზოგადოების განვითარებისა და წინმსვლელობის აუცილებელ პირობად სთვლიან და თავისთვის მადიანად თხოულობენ. ის, რაც კარგი და ნაყოფიერია რუსეთში, ცუდი და გამოუსადეგარია თურმე ჩვენს განაპირა მხარეში. სწორედ იქ, სადაც ძველი წესწყობილების სივაგლახე ყველაზე უფრო მძიმე და აუტანელია, იქ, სადაც ხალხი უფრო უპატრონო და დაჩაგრულია, სადაც უკონტროლო ბიუროკრატია შუაგულ რუსეთზე ბევრად უფრო ძლიერი და საზოგადოების აბუჩად ამგდებია,—თურმე მავნებელია სიტყვის თავისუფლება და ცხოვრების სიდუხჭირის გამომჟღავნება!

ჩვენ არ ვიცით, თუ რა პასუხს მიიღებენ თავის დეპეშაზე ტფილისის რედაქტორები. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ მოსალოდნელ თავისუფლებას არ მოაკლებენ კავკასიას და ჩვენს პრესსას ახსნიან ბორკილს და მოაშორებენ სიმუნჯის ბეჭედს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მოლოდინი არ გამართლდა და ბეჭდვითი სიტყვას კავკასიაში არ ეღირსა თავისუფლება. რას ფიქრობენ რუსის ლიბერალები? ნუ თუ ჰგონიათ, რომ ჩვენი მხარე ამგვარ დაცინვას და ღირსების ახდას შეურიგდება?..

## დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 თებერვალი.

**ლონდონი,** 21 თებერვ. ბულგარიის მთავარი ფერდინანდი დღეს მოვა და დარჩება რამდენსამე დღეს. მეფე სადილს გაუმართავს.

**ვარშავა,** 21 თებ. ქალაქი დამშვიდებულია. ქუჩებში ჯარი არაა, გარდა ქალაქს გარეთა, უბნებისა და ფილტრის ქარხნების მიდამოებისა. გენ.-ად. ჩერტკოვი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა.

**მინსკი,** 21 თებ. ყველა სასწავლებელში სწავლა განახლდა.

**მოსკოვი,** 21 თებ. შემჩნეულია მოძრაობა სასწავლებლებში სწავლის ხელ-ახლა დასაწყებად.

**პეტერბურგი,** 21 თებ. 19 თებერვლის ბრძანებით, ესტლიანდიის გუბერნატორი ველგარდტი დაინიშნა ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს უფროსად.

**კალიში,** 21 თებ. სახელმწიფო ენის საწინააღმდეგო მოძრაობამ ამ მხარეში ისე ჩაიარა, რომ განსაკუთრებული უკმაყოფილება არ გამოუწვევია. უმეტეს ნაწილად იშუამდგომლეს, რომ ადგილობრივ სოფლის სამმართველოებში მომავალში რუსული ენა შეცვლილ იქმნას პოლონურ ენით.

**პარიზი,** 10 თებ. „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს" კორესპონდენტთან საუბრის დროს საფრანგეთ ვაჭრობის ჯგუფის პრეზიდენტმა განაცხადა,—აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულობის გადათვალიერების დროს ორთავე მხარემ დუთმოს ერთმანეთს და ამნაირად სადამოუნო რეჟიმს შეღავათი მიეცესო. გავლენიან წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ საფრანგეთის დელეგატები მოლაპარაკების დროს მოითხოვენ ღვინის ტარიფისა და სალიტერატურო კონვენციის შეცვლას, აგრეთვე ნაწარმოებთა დაკვეთის დროს საფრანგეთის მრეწველობის უპირატესობას.

**ბერლინი,** 21 თებ. („ფრანკფ. ცაიტ."). რუსეთისა და ავსტრიის სამმართველომ [illegible] გადასცეს ნოტა მაკედონიის მართვა-გამგეობისა და მისის ფინანსების შესახებ.

**არიოლი,** 21 თებ. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ არიოლში დაარსდეს სასწავლებელი.

**მინსკი.** მოვიდა ვილნოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე, რომელიც გამოგზავნილია ადგილობრივ სასწავლებელში სრულის წესიერების აღდგენისათვის ღონისძიების მისაღებად.

**ლონდონი,** 20 თებ. საზოგადოება და დიპლომატები გატაცებით მსჯელობენ ბულგარიის მთავრის ფერდინანდის მოსვლაზე. მთავარს ხვალ მოელიან. მის პატივსაცემლად მეფე ედუარდი სასახლეში გაუმართავს საგანგებო ბანკეტს. ბულგარიის მთავრის მოსვლას უფრო მაკედონიის საქმით ხსნიან. ხმები, ვითომ ბულგარია ინგლისში სესხის აღებას აპირებდეს და ინგლისის ფაბრიკანტებისთვის სამხედრო სურსათის დამზადება შეეკვეთოს ბულგარიის მხედრობის საჭიროებისათვისაო,—ცარიელი ლაპარაკია.

**ვენა,** 21 თებ. უნგრელთა სახალხო დასის საპატიო პრეზიდენტი გრაფი ზიჩი იუწყება, რომ იმპერატორთან აუდიენციის დროს ლაპარაკი გვქონდა იმაზე, თუ რანაირად შეიძლება კოალიციურ სამინისტროს შედგენაო. იმპერატორმა სთხოვა ზიჩის დახმარება კრიზისის გადასაწყვეტად. ბანფიმაც განუცხადა იმპერატორს—თუ ბევრი რამ არ დაუთმეთ მხედრობის საკითხსა და ქვეყნის ეკონომიურად განცალკევების საქმეში, შეუძლებელია მორიგებაო.

**აიაჩჩიო.** ფულის თაობაზე დავა ასტეხა ოთხ რუს დაბალ მეზღვაურსა და საფრანგეთის მე-163 ქვეითა პოლკის ორ ჯარის კაცს შორის. მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც რუსებმა დანით დასჭრეს ორივე ფრანგი ჯარის კაცი. ჭრილობა საშიშოა. რუსი მეზღვაურნი დააპატიმრეს.

**ათინა.** არჩევნებმა სრულის წესიერებით ჩაიარა. აირჩიეს დელიანისის თითქმის ყველა მომხრენი. ყველა მინისტრი არჩეულ იქმნა.

**ვენა.** იმპერატორმა სამინისტროს კრიზისის გამოინახულა, გრაფ ზიჩისა და ბანფის გარდა, უნგრელთა დეპუტატი მაქს ფალკი.

**არმავირი,** 21 თებერვ. მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, რომელიც უნდა გამოეთხოვოს შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალ ყაზახთა ჯარს.

**ადესა.** დღეს მოვიდა რუსეთის საზოგადოების გემი „პრინცესსა ევგენია ოლდენბურგსკაია" და მოიყვანა 60 პორტ-არტურელი, რომელთაც მიეგებნენ ქალაქის უფროსი და მთავრობის მოხელენი. ყველანი კარგად არიან. ქალაქმა თავის ხარჯით დაასაბინავა სასტუმროებში პორტ-არტურელნი.

**კიევი.** გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი კრება იმ კომიტეტისა, რომელმაც კიევში იმპერატორ ალექსანდრე მე-II-ეს ძეგლი უნდა აუგოს. ძეგლის აგება და განსვენებულის იმპერატორის სახელობაზე სახალხო სახლის აშენება განზრახულია იმ დროსათვის, როცა გლეხთა განთავისუფლებიდან 50 წელიწადი შესრულდება. დადგენილ იქმნა, მოიწვიონ მცოდნე კაცები საკონკურსო პროექტის შესადგენად.

**პარიზი.** ბულგარიის მთავარმა გამოიარა მენტონიდან და დილით პარიზიდან ლონდონს გაემგზავრა თვის ვინაობის გამოუცხადებლად. ირლანდიის საქმეთა მინისტრმა ჯორჯ ვინდემმა სამსახურს თავი დაანება.

**პეტერბურგი,** 21 თებ. ხელმწიფეს ცარსკოე სელოს დიდ სასახლეში წარუდგნენ გარდემარინები საზღვაო კორპუსისა და საზღვაო-საინჟინერო სასწავლებლის მოწაფენი. ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სიტყვით მიჰმართა მოწაფეებსა და გარდემარინებს: „მოხარული ვარ, რომ აქ, ჩემთან გხედავთ ერთად გარდემარინებსა და ინჟინერებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გარემოება კარგი ნიშანი იქნება თქვენის მომავალის თანაზიარ სამსახურისა და რომ ურთიერთ შორის დაიცავთ კეთილგანწყობილებისა და ერთგულებას. მჯერა, რომ ერთმანეთს შეჰხედავთ ისე, როგორც პატიოსან და მახლობელ ამხანაგებს. გახსოვდეთ, ბატონებო, რომ განსაკუთრებით ეხლა, როდესაც რუსეთი განსაცდელშია, საჭიროა მჭიდროდ შეერთება და კავშირი სამშობლოს პატიოსნებისა და დიდების დასაცველად. არ უნდა შეუშინდეთ ბედის ტრიალს, არ უნდა დაეცეთ სულით და განუსაზღვრელის ერთგულებით უნდა ემსახუროთ სამშობლოსა და მე; უნდა ეცადოთ, რომ სასურველ გამარჯვებას მიაღწიოთ. ძლიერ მოხარული და მოსურნე ვიქნები, თუ შესრულდება ჩემი სურვილი—განახოთ ფლოტის ინჟინერ-მექანიკოსები აფიცრის ჩინში. იმედი მაქვს, რომ გაამართლებთ ჩემს თქვენდამი გამოთქმულს ნდობას და გილოცავთ ყველას მიჩმანობისა და პოდპორუჩიკობის ბოძებას. მჯერა, რომ თქვენც ისე პატიოსნად და მამაცურად მემსახურებით, როგორც ეხლა მემსახურებიან თქვენი უფროსი ძმები, რომელთაც პატიოსნურად შეასრულეს მოვალეობანი თვისნი და რაც კი შეეძლოთ, არა დაუზოგავთ-რა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც არას დაზოგავთ რაც კი შეიძლება დაიცვათ დიდება ჩვენის ფლოტისა. გისურვებთ ყოველსავე წარმატებას თქვენს მომავალ სამსახურში".

## რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

21 თებერვალი.

**ტოკიო,** 21 თებ. (რეიტერი). იტყობინებიან, რომ იაპონელთა მარცხენა ფრთემ დაიკავა გამაგრებული პოზიციები მაღლობებზე მუკდენის სამხრეთით 4 მილის სიშორეზე. ბრძოლა არ შეწყვეტილა, მაგრამ შაბათს აქედ ბრძოლის შედეგზე არაფერი გადაწყვეტილი არ ისმის.

**კუროკის არმია** (უთარიღო). რუსები 16 ზარბაზნიდან ყუმბარებს ესროდნენ ვიტასანის მიმართ იაპონიის არტილერიას, ჯარების მიერ დაჭერილს სოფლებს და სურსათის გამოსატარებელ გზებს.

**შანჰაი,** 20 თებ. (მორნინგ პოსტი). იაპონელები 8 დივიზიას ადგენენ 140,000 კაცისაგან. 3 დივიზია გადმოვიდა კორეის ჩრდილო-დასავლეთით, დანარჩენები ეცდებიან რუსის მარცხენა ფრთეს შემოუარონ. მანჯურიის სარეზერვო არმია იაპონიაში დარჩება. ხაკოდატეში შეაგროვეს 4 ჯავშან-გადაკრული კრეისერი, 10 კონტრ-ნაღმოსანი და დამხმარე კრეისერები. ზღვაზე დგომა უზრუნველ-ყოფილია ნაღმებით. ორთქლ-მავალმა „მინეზოტამ" კორეასთვის ორთქლ-მავალები მოიტანა. 60 კრუპის ჰაუბიცი გაიგზავნა შახეზე.

**ტოკიო,** 19 თებ. (ტაიმს). ფუმის და მარკიზ საიონის სიტყვებში გამოითქვა შეხედულობათა თანხმობა. ორივემ განაცხადეს, რომ არ შეიძლება დროებითი ზავის შეკვრა, გარდასახადთა მომატებას უნდა მოველოდეთო და ღრმა რწმენა გამოსთქვეს ნაციონალურ შეერთებაზე.

**ხარბინი,** 21 თებ. იაპონელთა წყაროებიდან გამოსული ცნობა ჩინეთის რკინის გზის გაფუჭებაზე საფუძველს მოკლებულია. გზა მთელია და მიმოსვლა წესიერად სრულდება. გაფუჭების განზრახვა 30 იანვრის შემდეგ აღარ განმეორებულა. გენერალ-ლეიტენანტი ჩიჩაგოვი.

**ტოკიო,** 21 თებ. ოფიციალურ ცნობებით 20 თებერვლიდან რუსები დიდს წინააღმდეგობას გვიწევენ პინჩინის მიდამოში. შახეს მხრით იაპონელები იერიშით მივიდნენ პინიანის სიმაღლეზე, ხუსაპუძის მხარეზე დაიჭირეს რედუტები და მაღლობები, რკინის გზის აღმოსავლეთით დაჭერილია იუძიატუნი, დასავლეთით აღებულია რუნშანი. სიძიაპუსთან იერიში სწარმოებს სუხტუნის გზაზე.

**ჩიფუ,** 21 თებ. რუსის კონსულს ატყობინებენ, იგზავნება 33 (?) მოკეთებული ინვალიდი და 2525 მოკეთებული წითელი ჯვრის საავადმყოფოდან, აგრეთვე მოსამსახურენიც. ჩიფუდან გაგზავნის შემდეგ, 2525 დალნიდან გაიგზავნება.

**პარიზი,** 21 თებ. კორესპონდენტი კოდო, რომელიც იაპონელებმა დაატყვევეს და მერე ისევ გაუშვეს, მუკდენში დაბრუნდა და იტყობინება 20 თებერვლიდან, რომ იაპონელთა იერიში თანდათან საშიშარი ხდება, თუმცა-კი გარს შემოვლით იაპონელთა არმია სრულიად მოწყვეტილია. არაოდეს კუროპატკინი ისე ახლო არ ყოფილა გამარჯვებასთან, როგორც ეხლა.

**ადენი,** 21 თებ. (რეიტერი). ბალტიის ესკადრის სამხედრო გემი წითელი ზღვის შუაგულ ნაწილში გამვლელ გემებს პროჟექტორებით სინჯავს.

**ტაშკენტი,** 21 თებ. მთელის მხრის კუთხეებიდან გაიგზავნა სანიტარული მატარებელი 300 დაჭრილთათვის. წითელ ჯვრის თავმჯდომარის, გენერალ-გუბერნატორის მეუღლის ტოვიაშევის მოწოდებამ მხურვალე თანაგრძნობა გამოიწვია და შეგროვილ იქმნა ორ თვეში 53,000 მან. მატარებლის დასამზადებლად.

**ჰონკონგ,** 20 თებ. გერმანელ გემს „ნუბია"-ს უნახავს 19 თებერვალს 100 მილზე სამხრეთ-დასავლეთით ჰონკონგიდან იაპონელთა ორი ესკადრა. ერთი შესდგებოდა 9 ჯავშნიან გემისა და კრეისერებისაგან. კრეისერები გაჩქარებული მიდიოდნენ ჩამქრალ სანთლებით. იაპონელებმა გაანათეს პროჟექტორებით გერმანელთა გემი. ეს ესკადრა შემჩნეულ იქმნა დილის 2 საათზე. მეორე ესკადრა შუადღის შემდეგ გამოჩნდა.

**ვლადივოსტოკი,** (საკ. კორესპ.). რადგანაც ქალაქის კასას არავითარი სახსარი არ მოეძევება, რომ მკვიდრთათვის საჭირო სურსათი დაამზადოს ალყის შემორტყმის დრომდე, ამის ზრუნვა თავის თავზე იდვა ციხის კომენდანტმა და ხაზინისაგან ქალაქისთვის სესხი გამოითხოვა.

**პარიზი,** 21 თებ. დღეს დილით მარსელში მოვიდა ჩინეთიდან და იაპონიიდან საფოსტო [illegible] „ერნესტ სიმონი". მგზავრთა [illegible] პორტ-არტურიდან მოწყალების და ჩერკასოვი [illegible] და პრინცი ბურბონელი, რომელიც ოთხის თვის დათხოვნილი იყო და ფარულად მოგზაურობდა. პრინცმა კორესპონდენტთან ლაპარაკზე უარ განაცხადა, მხოლოდ ქებით მოიხსენია კუროპატკინი. განსაკუთრებით აქებს იგი რუსეთის [illegible] მის ორგანიზაციას. პრინცის სიტყვით, [illegible] შეუძლიან გამოჰკვებოს 300,000 კაცისგან შემდგარი ჯარი. პრინცმა ხაიმემ, რომელსაც გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისგან მინდობილი ჰქონდა, გამოეკვლია, როგორ მიდიოდა პორტ-არტურში სურსათი, იტალიელ კორესპონდენტის [illegible] დაირქვა და სინმინტინსა და ზღვის შუა რამდენ[illegible]მე იმოგზაურა. მეზღვაურთა შორის მყოფმა რუსის აფიცრებმა სთქვეს, რომ საჭიროა ჩამოერთვას იაპონელ[illegible] ზღვაზე ბატონობა. ხმელეთის ოპერაციების შედეგები [illegible] იქნება, სანამ იაპონელთ შეეძლებათ დახმარება და ყველაფერი საჭირო მიიღონ ზღვით.

ღამის დეპეშა იხ. მესამე გვერდზე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ომის ამბები.** გუშინ დილით ბრძოლის ველიდან (მუკდენიდან და რუსეთის სხვა პოზიციებიდან) არც ერთი დეპეშა არ მოსულა [illegible] სენებთ, რომ იაპონელები 8 ვერსის მანძილზე მივიდნენ (იხ. გუშინწინდელი დეპეშები), [illegible]ვილი შესაძლებელია, რომ იაპონელებმა [illegible]სებს რკინის გზა გადაუჭრეს და ტელეგრაფიც გააფუჭეს.

ტოკიოდან, 21 თებერვალს გამოგზავნილ დეპეშიდან სჩანს, რომ იაპონელებმა ბრძოლით აიღეს მაღლობი პოზიცია, რომელიც მუკდენიდან 4 მილის მანძილზე მდებარეობს. დღეს თუ ხვალ ბრძოლა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, ან იქნება გადაწყდა კიდეც; მხოლოდ ეგ არის, რუსეთის მხრით აღარავითარი ცნობა არ მოდის.

**უკანასკნელ ბრძოლის დასაწყისი მუკდენთან.** 15 თებერვალს სრული ერთი წელიწადი შესრულდა,—სწერს „რუს. ვედ"-ის სამხედრო მიმომხილველი ს. კ.,—რაც პიენიანის კედლებთან (კორეაში) რუსეთისა და იაპონიის ჯარი ერთმანეთს პირველად დაეტაკნენ. ამ ერთი წლის განმავლობაში იაპონიის ჯარმა დაიჭირა კორეა, ლიაოდუნის ნახევარ კუნძული, პორტ-არტური და მთელი სამხრეთი მანჯურია მუკდენამდე. ომის მეორე წელს რუსეთის ჯარს უძლეველი საქმე აქვს: მარშალს ოიამას მედგარი იერიშები უნდა შეაჩეროს და წაართვას ყველა ის, რაც დაჰკარგა. მაგრამ ეხლა წარსულ წლის ბრძოლების აღწერის დრო არ არის. ომის მეორე წელიწადი იწყება სასტიკ ქარიშხლით, რომელიც რუსეთის მარცხენა ფრთესკენ მოშხუის. გენერალმა კუროკიმ მედგარი იერიში მიიტანა გენ. ლინევიჩის ჯარზე. მოპირდაპირე ჯარების ეხლანდელი მდგომარეობა ძალიან წააგავს რუსებისთვის უბედურ სექტემბრის ბრძოლას. მდინარე ხუნხეს ნაპირებსა და დალინის ქედზე დაბანაკებულ გენ. ლინევიჩის მდგომარეობა ნამდვილი პირია გენ. კუროკის ჯარის მდგომარეობისა სექტემბერში. თუ დაწყებული ბრძოლა საერთო ბრძოლად გადაიქცა, ანალოგია სრული იქნება. სექტემბერში გენ. შტაკელბერგს კუროკის დამარცხება და გზის მოჭრა უნდოდა. ეხლა გენ. კუროკის უნდა ლინევიჩის ჯარს უკან დაახევინოს,

[illegible]

...რომ სცოდნოდა, უმთავრესად ოქუს უნდა გაფრთხილებოდა. ის კი მოტყუვდა, კუროკის აჰყვა და ისიც კი ვერ შეამჩნია, რომ იაპონელთა რამდენიმე ათი ათასი კაცი სინმინტინში ავიდა და რუსეთის ჯარს თითქმის უკანიდან მოექცა. ეხლა ბრძოლის ბედი კუროკზე კი არა, ოქუზეა დამოკიდებული. თუ ოქუმ თავის მიზანს მიაღწია, იაპონელები ძალიან გაიმარჯვებენ. დღეს დილის მოსულ ცნობებიდან კი სჩანს, რომ ოქუ ჯერჯერობით წინ მიიწევს და დღეს თუ ხვალ მიზანს მიაღწევს (ან იქნება მიაღწია კიდევაც).

ს. კ.-ას ანგარიშით გენერალ კუროკის უნდა ჰყავდეს 127 ბატალიონი ქვეითი, 34 ცხენოსანთა ესკადრონი და 420 ზარბაზანი. სულ დაახლოვებით—160000 კაცი. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ კუროკიმ მხოლოდ დემონსტრაცია მოახდინა, ზემო-ხსენებული რიცხვი კუროკის ჯარისა გადამეტებული უნდა იყოს. ყველაზე მეტი ჯარი უნდა ჰყავდეს მარშალ ოქუს, მეორე კუროკის, მერე ნოძუსა და ყველაზე ნაკლები—ნოგის (ეს ის ჯარია, რომელიც მუკდენს დასავლეთიდან უვლის).

იაპონელების აზრით, გენ. კუროპატკინს სულ 700,000 კაცი უნდა ჰყავდეს. თუ ამ რიცხვიდან იმ ჯარს გამოვაკლებთ, რომელიც რკინის გზას იცავს და მანჯურიის სხვადასხვა კუთხეშია დაბანაკებული, გენ. კუროპატკინს ბრძოლის ველზე (მდინარე შახესა და მუკდენის მიდამოებში). სულ ცოტა რომ ვთქვათ—450—500,000 კაცი ეყოლება. (რ. ც.).

**ეხლა დაწყებულ ბრძოლის** შესახებ „ბერლინელი ტაგებლატ“-ის სამხედრო მიმომხილველი პოლკოვნიკი გედკე სწერს: უმთავრესი საფრთხე რუსებს დასავლეთიდან არ მოელის (პირიქით, უმთავრესი საფრთხე რუსებს სწორედ დასავლეთიდან ეწვევა), იაპონელებს იმდენად ცოტა ჯარი ჰყავთ, რომ ამ ჯარს ვერ დააქუცმაცებენ და თუ დააქუცმაცეს, დამარცხდებიან. უმთავრესი საფრთხე რუსებს აღმოსავლეთიდან მოელის: კუროკის ჯარი გენ. ლინევიჩის ჯარს თანდათან ჩრდილოეთისაკენ ახევინებს. აქ, როგორც ეტყობა, იაპონელები რუსებს შორიდან უვლიან. თუ ის ცნობა მართალია, ვითომ რუსების მთავარი ბანაკი ფუნშუნში იმყოფება (40 კილომეტრის მანძილზე მუკდენიდან აღმოსავლეთით), მაშინ რუსები მთავარ წინააღმდეგობასაც სწორედ ფუნშუნთან გაუწევენ.

თუმცა პოლკოვნიკმა გედკემ მშვენივრად იცის საზოგადოდ სამხედრო საქმე და კერძოდ—რუსეთის ჯარის მდგომარეობა მანჯურიაში და ძალიან კარგი სტრატეგიც არის, მაგრამ ეხლა წინასწარმეტყველება ვერ გამოადგა და სწორედ ის მოხდა, რაც გედკეს შეუძლებლად მიაჩნდა. (რ. ც.).

**იაპონიის პარლამენტის უკანასკნელი სესია.** ამ ცოტა ხანში ტოკიოში იაპონიის პარლამენტის სხდომა გათავდა. „სტანდარტ“-ს ატყობინებენ, პარლამენტის უკანასკნელი სესია იაპონიის ისტორიაში შესამჩნევი მოვლენაა. ოპოზიცია, სადაც კი საჭირო იყო, მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მთავრობას, ხოლო რაც შეეხება საერთო საქმეს, ოპოზიცია მშვენივრად მოიქცა, მთავრობას მხარი მისცა და ომისთვის საჭირო ხარჯი ხმის ამოუღებლად გაიღო. მთავრობასა და დასებს შორის ეხლა ისეთი კარგი განწყობილებაა, რომ ამ გვარი სოლიდარობა და ერთობა იაპონიის პარლამენტში არაროს არ ყოფილა. (რ. ც.)

**ზავის პირობები.** „მატენ“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: ნიუ-იორკიდან დეპეშა მოვიდა, რომელშიაც იაპონელთა პირობებია ჩამოთვლილი ზავის ჩამოსაგდებად. ეს პირობები იაპონიის ელჩმა ტაკახირამ შეერთებულ შტატების პრეზიდენტს გადასცა და უთხრა, იაპონია მხოლოდ მაშინ დაჰყრის იარაღს, როცა რუსები შემდეგ პირობებს აასრულებენო:

1) რუსებმა სამუდამოდ და მთლად უნდა დაანებონ თავი მანჯურიას, რომელიც ჩინეთს დაუბრუნდებოდა, ყველა სახელმწიფომ უზრუნველ უნდა ჰყოს მანჯურიის ხელ-უხლებლობა;

2) რკინის გზას, ხარბინიდან დაწყებული ვიდრე პორტ-არტურამდე, საერთაშორისო მთავრობამ უნდა განაგებდეს;

3) კორეა იაპონიის მფარველობის ქვეშ იქნება;

4) პორტ-არტური იაპონიას დარჩება, ხოლო სავაჭროდ ყველასთვის გახსნილი იქნება. იაპონია რუსეთს სამხედრო კონტრიბუციას მაინცა-და-მაინც არა სთხოვს. (რ.).

# ახალი ამბავი

✦ ტფილისში **არსდება ამხანაგობა,** რომელსაც აზრადა აქვს შეიძინოს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მაკაროვის მამული, ვერის ხიდიდან არტილერიის ყაზარმამდე, ააგოს შენობები და **მსურველთ შეღავათიანის პირობებით მიჰყიდოს.** ამასთანავე უნდა გაამაგროს მდინარის ნაპირიც. საქმეს სათავეში უდგას ბ-ნი ს. ზ. მირზოევი. მაკაროვი თავისს მამულს 90000 მან. აფასებს, ხოლო ამ თავითვე 25000 მან. თხოულობს.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების **გამგეობამ** თავის უკანასკნელ კრებაზე **აირჩია ორი კომისია მომავალ სეზონისათვის რეპერტუარის შესადგენად.** პირველმა კომისიამ უნდა **გადასინჯოს ქართულ თეატრის ბიბლიოთეკა** და აარჩიოს ის პიესები, რომელნიც შეიძლება წარმოდგენილ იქმნან მომავალში. მეორე კომისიამ უნდა დაასახელოს **ყველა ის პიესები** რუსულსა და უცხო ენებზე, რომელთა ქართულად გადმოთარგმნა და წარმოდგენა სასურველია. პირველ კომისიის წევრებად არიან. ვ. მუსხელიშვილი, ნ. ავალიშვილი, ს. ფირცხალავა, ელ. ლორთქიფანიძე, ნ. ალექსი-მესხიშვილი, გ. რცხილაძე და კ. ჯაფარიძე, ხოლო მეორე კომისიაში: ა. დიასამიძე, ი. მაჭავარიანი, ვ. ღამბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი. ვ. აბაშიძე, ი. ნაკაშიძე და ვ. სულხანიშვილი. კომისიების შრომას გამგეობა განიხილავს კომისიებთან ერთად.

✦ ქართულ **დრამის ამხანაგობას,** თანახმად სხვადასხვა პირთა დაყენებული თხოვნისა, აზრად აქვს მომავალ კვირას მონტის დრამა „**კაი გრაკხი**“ **წარმოადგინოს** არაქსიანისა და ვეტცელის თეატრებში. „ამხანაგობას სთხოვენ კერძო წერილებით, „გრაკხის“ წარმოდგენა სახაზინო თეატრშიაც გაიმეორონ.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ბათუმისას და სთხოვა, **აცნობოს იქაურ ელექტრონის სადგურის შესახებ ყოველგვარი ცნობები,** მაგ., რა ღონის მანქანებია, რამდენ ფანარს ანათებს სადგური, თითო ელექტრონის ფანარი რამდენ ოთხ-კუთხ საჟენის მანძილს ანათებს, რამდენი დაუჯდა ქალაქს მისი მოწყობა, შემოსავალს იძლევა სადგური თუ არა და სხვ.

✦ გუბერნატორის მოთხოვნილების თანახმად, ტფ. ქალაქის მოურავმა გუშინ, 22 თებერვალს, აცნობა ფინანსთა მინისტრს, რომ ამ ჟამად **განაღდებელია ქალაქის მე-3 სესხის ობლიგაციები** სულ 600000 მანეთისა და, რადგანაც ამ ბოლოს დროს ძალიან დაეცა ობლიგაციების ფასი, ქალაქის გამგეობა საზარალოდ სცნობს ჯერჯერობით მის განაღდებასაო.

✦ გუშინ, 22 თებერვალს, **ათის დღით დათხოვეს** ტფილისის **სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლენი.**

✦ **გუნდი ახალ ციხეში მცხოვრებ ქართველებისა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას** სთხოვს დახმარებას **საამდროვო პიესების მიწოდებითა** და სათეატრო რჩევით. წერილის გამომგზავნი დასძენს, რომ სცენის მოყვარულთა გუნდი იქ უკვე არსებობს და მხოლოდ **ზნეობრივი დახმარება** ეჭირვება.

✦ ინჟ. ლისიციანმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ავჭალაში წყლის საწმენდი მილები დაძველდა, ვეღარ სწმენდავს წყალს ისე, როგორც რიგიაო და ამიტომ განკარგულება მოვახდინე, რომ მილებში მტკვრიდან **დაუწმენდავი წყალი გამოუშვან ავჭალიდანაო.** ლისიციანის ცნობით, ქალაქის მილებს ავჭალიდან ამჟამად გადმოაქვს დღე-ღამეში 674,000 ვედრო წყალი. ამასთანავე ლისიციანი ამბობს, ქალაქის მიერ შეკვეთილი წყლის საწმენდი ფილტრები უკვე მზად არის და საჭიროა ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინოს, რომ ეხლავე, სანამ წყალი ძალიან აიმღვრეოდეს, მოეწყოს ეს ფილტრებიო.

✦ ტფ. სახაზინო თეატრში მომავალ დიდმარხვაში ბ-ნის ბორისოვ-მინჩენკოს **საოპერეტო დასი** გამართავს წარმოდგენებს.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია ტფ **ბოტანიკურ ბაღში პრობკის ხეები გააშენოს** და სცადოს, იხეირებს თუ არა. ამის გამო ტფ. ბოტანიკურ ბაღის დირექტორმა სთხოვა სოხუმის საუფლისწულო მამულების გამგეს, შეგვატყობინეთ დაწერილებითი ცნობანი პრობკის ხის მოვლა-მოშენების შესახებაო.

✦ ექიმის ლუნკევიჩის თავმჯდომარეობით შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა მოხსენება ტფ. სამკურნალო წყლების სასარგებლო თვისებათა შესახებ და წარუდგინა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას. კომისია სასურველად სცნობს, რომ **დაარსებულ იქმნას ამ აბანოებთან სამკურნალო,** რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც ქალაქისათვის, ისე მთლად კავკასიისთვისაცაო.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიჰმართა კახეთის მევენახეებს და სთხოვა, შეიძინონ **შეღავათიანის პირობებით სეტყვის ასაცდენი ზარბაზნები.**

✦ მიწად-მოქმედ. და სახელმწ. ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია ტფილ. ბოტანიკურს ბაღში ააგოს **შენობა დირექტორისა და მოსამსახურეთათვის.** შენობაში მოათავსებენ აგრედვე ახლად მოწყობილს ქიმიურ ლაბორატორიასაც.

✦ ცხინვალში ვიღაც ბოროტ-მოქმედს **ცეცხლი წაუკიდებია ცხინვალის სამინისტრო სკოლისთვის.** ამ სკოლის ხალხი მტრულად თურმე უყურებდა. სკოლასთან ერთად დამწვარა სკოლის ხეხილის ბაღიც.

✦ 21 თებერვალს, ადელხანოვის ტყავის ქარხანაში **დაშავდა მუშა** ავაქ ავდანოვი. როცა ეტლიდან ძირს იღებდა თუჯის თვალს ქარხნის მანქანისთვის, ფეხი გაუსხლტა და წაიქცა, ძალიან დაუშავდა მარჯვენა თვალი და ცხვირი. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ამხანაგობა „გეორგია“ ატყობინებს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ **ბათუმში მუშათა გაფიცვის** გამო შეუძლებელია თავის დროზე ქუჩების მოსაფენად ოთხ-კუთხი ქვების ჩაბარებაო.

✦ 12 თებერვალს, ღამის 3 საათზე, პოლიციის ნაწილში, პეტრე-პავლეს ქუჩაზე, პოლიციელს უნახავს **ცალიერი ეტლი № 751.** მეეტლე კი არსად სჩანდა, ეტლს უკანა თვლებზე რეზინის სალტები აღარ ჰქონდა. სხვა კი ყველაფერი ზედ იყო. ყველა ერთხანად ამბობს, რომ **მეეტლე მოკლულიაო.** გამოძიება სწარმოებს.

✦ გუშინ ვერის დაღმართზე **ელექტრონის მავთული გაწყდა.** უბედურობა არაფერი მომხდარა. ვაგონების ძიმოსვლა შეჩერდა და იმ ადგილას, სადაც მავთული გაწყდა, პოლიციელნი იდგნენ და რელსებთან არავის უშვებდნენ.

# სადღეისო

**სულ ძილი, ძილი...**

ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია და ჩვენ ამ ასი წლის განმავლობაში შევეჩვიეთ ყოველივე ფეხის დაბაკუნებაზე თრთოლას, ბოდიშებს!

ეხლაც ვეღარ ვახერხებთ ხმის ამოღებას და გვეშინია, ვერიდებით სხვის წყენას.

მთელი რუსეთი წამოდგა ფეხზე, ხვალინდელ დღის მოლოდინში ყველა გაჩქარებით ცდილობს აღნუსხოს თავისი საჭიროება, რადგანაც იცის, რომ უამისოდ გაძნელდება საქმის მოწყობა.

როგორც შუაგულ რუსეთში, ისე განაპირა ქვეყნებში ემზადება ყველა ცხოვრების გამოცვლას..

ნუ თუ ამ დროს ჩვენი საზოგადოება უნდა დარჩეს უგულო მაყურებლად და არ აჰყვეს სხვების გამოფხიზლებას, რომ ჩვენზე სთქვას ვინმემ დაცინვით;

— რას იზამენ, — ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო.

შევეჩვიეთ იმას, რომ საქმეებს განაგებენ უცხო პირები, სხვებისაგან დაყენებული მოხელეები, რომელთაც სრულებით არ ენაღვლებათ ჩვენი ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობა. თვითმართველობის ნასახიც არა გვაქვს მონიჭებული, ვინაიდან ქალაქ ადგილებში თვითმართველობა მხოლოდ სახელით არსებობს, ადმინისტრაციას შეუძლია ქალაქის საბჭოსაგან გადაწყვეტილი არ დაამტკიცოს, ე. ი. საქმის ნამდვილი გადამწყვეტი საზოგადოების მაგიერად არის ადმინისტრაცია.

ეს ქალაქებში. სოფლებში ხომ ესეც არ არის, იქ ყველა საქმე, საზოგადო ცხოვრების ყოველი მხარე ადმინისტრაციის ხელშია, ე. ი. იმ ბიუროკრატიის ხელში, რომელიც ამჟამად ყბადაღებული შეიქმნა რუსეთში ყველასაგან.

კიდევ კარგი, ამნაირი წყობილება სასარგებლო რომ გამომდგარიყო ხალხისთვის, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ესეც არ არის.

ხალხი უმეცრად რჩება, ხალხი მოკლებულია გზებს, მოკლებულია ყველაფერს, რაც არის აუცილებლად საჭირო მის საკეთილდღეოდ და მხოლოდ იმის ფიქრშია ყოველ დღე, რომ შეიტანოს დროზე გადასახადი, რადგანაც იცის, რომ ვერაფერ ხეირს დააყრიან მას მამასახლისი, პოლიცია და ჩაფრები, თუ ვერ მოახერხა ამ ფულის გადახდა ვადაზე.

აწიოკებენ მის ოჯახს და ნადავლს შეიტანენ ხაზინაში, რომ შემდეგ ამ ფულით მიიღოს ჯამაგირი ისეთმა ადამიანმა, რომელსაც ეჯავრება აქაურობა, რომელიც აგინებს აქაურებს და ცდილობს შეურაცხჰყოს როგორმე ჩვენი პირადი და ეროვნული თავმოყვარეობა.

ჩვენ კი წინ ვუჩოქებდით ამნაირ პირებს და ხელს ვუკოცნიდით, როგორც ოთარბეგი სულეიმან მეფეს, რომელიც მზად იყო ხელის უბრალო გაქნევით მოესპო სამუდამოდ ქართველის ხსენება.

ნუ თუ ეს სამარცხვინო ჩვეულებაც რჯულთ უმტკიცესია ჩვენთვის და არ შეგვიძლიან უბრალო თავმოყვარეობის გამოჩენა იქ, სადაც ვხედავთ აშკარად სხვებისგან შეურაცხყოფას.

ან გვაქვს განა სასწავლებლები, ჩვენი, ეროვნული სასწავლებლები?

არა: არსებული სასწავლებლები მოწყვეტილია ხალხზე, ყველა საგანს ასწავლიან უცხო ენაზე, სასწავლებელი საპოლიტიკო იარაღი შეიქმნა ბიუროკრატიის ხელში და ჩვენც ისე შევეჩვიეთ ამ არა ბუნებრივ მდგომარეობას, რომ ნატვრის სურვილიც არა გვაქვს.

ვერ ვბედავთ ვინატროთ იმაზე მეტი, რომ სასწავლებლებში იყოს უკეთ მოწყობილი ქართულის სწავლება და, რომ გამოჩნდეს ვინმე და გამოაცხადოს რომ საზოგადოდ მთელი სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულად, ზოგიერთს ჩვენთაგანს ასეთი სურვილი გადამეტებულად ეჩვენება,—ესე შეეჩვივნენ ეხლანდელ მდგომარეობას, და მათთვის ხომ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია!..

რუსეთის ყველა ეროვნება ცდილობს მიიღოს ეროვნული სწავლა-განათლება და ჩვენ დღესაც ვართ გაჩერებული იმ იდეალებზე, რომელიც ჰქონია საზოგადოებას ამ ორმოც ან ორმოც-დაათი წლის წინად.

ნუ თუ შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ თავი იმ სასამართლოთი, რომელიც არსებობს ჩვენში? ნუ თუ საზოგადოდ შეგვიძლია კიდევ ვიცხოვროთ ისე, როგორც აქამდის ვცხოვრობდით!

ხალხის ზოგიერთ ნაწილში მოსჩანს, მართალია, გამოფხიზლების ნიშნები, მაგრამ ზოგიერთს დღესაც კიდევ თითქო სცხვენია ასეთ გამოფხიზლებისა, ეშინიან, არ შემიტყონ, რომ მეც ადამიანი ვარ და მინდა ადამიანური ცხოვრებაო.

ზოგიერთი ამბობს, მოვიმკვდარუნოთ თავი და ეგება მაშინ შევეცოდოთ და რამე წყალობა გამოიღოსო იმან, ვისაც ჩაბარებული აქვს ჩვენი პატრონობა.

შევეხვეწოთ, მოვუჩჩვილოთ გული, ეგება გამოიმეტონ ჩვენთვის უფლებაო.

აგერ, ძველი საუკუნეა, ვადგივართ ამ გზას; ასი წელიწადია. სხვის მოიმედეთ ვართ დარჩენილი და დაჩოქილი ვეხვეწებით ჩვენი ცხოვრების რიგიანად მოწყობას.

მაგრამ ვერ იქნა მისი მოწყობა და ვერა!

რამდენსაც მეტს ვიმცირებდით თავს ხვეწნავედრებით, მით უფრო გვამცირებდნენ სხვებიც, თავს რომ მოვიმკვდარუნებდით,—ნამდვილ მკვდარსავით მიგვათრევდნენ სამარისაკენ და, როდესაც შუა-გულ რუსეთში, ასეა თუ ისე, ხალხს აქვს საშუალება თვით-მოქმედებისათვის, ჩვენ ყველაფერს ვართ მოკლებული.

ეხლა რუსეთში დადგა ისეთი ხანა, როდესაც ყველა, უკანასკნელი მწერიც კი ხმას იღებს,—ყველას უნდა მოიპოვოს ადამიანურ ცხოვრებისათვის საჭირო უფლება.

ჩვენ?.. გაჩუმებულნი ვართ, გვეშინიან ქვის თვალით არ გადმოგვხედონ, გვეშინიან არ და-

# ფელეტონი

### ს ი ტ ყ ვ ა

(ძველი თქმულება)

I

ქუხილი მტკვრისა ცასა სწვდებოდა,
მარცხნით ლიახვი აძლევდა ბანსა.
ლაღის შვილების ხტომა, ცელქობა
სიამეს ჰფენდა გორიჯვრის მთასა
და ქართლის ველი, ბევრ ჭირ-ნახული,
იმათ ძმურს კავშირს და ერთად სვლასა
გაღმა-გამოღმით მკერდ-გადაშლილი
ძმურს სალამს აძლევს, ულოცავს გზასა.
მწვანე კორდზედა მხედრობის რაზმი
გარს შემოჰრტყმია ერთს ტურფა ქალსა.
ქალი ცხენზე ზის ყელ-მოღერებით,
ვითა ბრწყინვალე დილის ცისკარი.
ისე სჩანს ქალი ამალისათვის,
როგორც მოსესთვის სჯულის ფიცარი.
ყველა მას შესცქერს, ვითა ღვთაებას,
ჭაბუკი, ბერი, ვინც-კი იქ არი.
მის ტურფა სახე სადღაც მქმუნვარებს
და შორს სივრცეში მიურბის თვალი:
„გორიჯვრის ქვეით მუხაზე დაჯდა,
„ყურს აღარ მიგდებს ფრიად გამწყრალი.
„ვინ არს—შეიპყროს ჩემი მიმინო,
„აქ მომიყვანოს?!“ იძახის ქალი:
„რასაც-კი მომთხოვს, მიიღებს ჩემგან,—
„დიდი არს, უწყით, მეფეთა ძალი.
„აბა ვინ არის მართლა ვაჟკაცი
„და არ აშინებს მას დიდი წყალი?!“
მოდგა ჭაბუკი, შავს ცხენზე მჯდომი,
როგორაც ვეფხვი თამამი ქცევით,
შვენიერია შეჭურვილობით,
ვითა ლერწამი ნელ სიოს რხევით:
—თავი რად გვინდა მაშინ ცოცხალი,
თუ შენს საწადელს ვერ მოვეწევით!—
დეზი ჰკრა ცხენსა, რახტი აჟღერდა,
ცხენი მხედარმა შეაგდო მტკვარში.
ღმერთო, იხსენი თავ-დადებული,
ნურაფერს ხიფათს შეამთხვევ გზაში!
ღმერთს როდი ესმის ზოგჯერ ვედრება:
ბედის ვარსკვლავი გაუქრა ცაში...
ცხენმა ვერ შესძლო მტკვრისა გაპობა,
თავის მხედრითურ დაირჩვა წყალში.
ამ სანახავმა ვერ შეაყენა
დანარჩენების გულისა ძგერა:
ასი, ათასი სურვილს აცხადებს...
კვალად გაისმა აბჯრისა ჟღერა.
ერთი სხვას მისდევს მტკვრის საომრადა—
გულითა რკინა და ლომის ფერა.
მაგრამ ყველანი წყალმა იმსხვერპლა,
ჯალათად ექმნა ტალღების მღერა.
ერთმა მხოლოდა სტიქიონს სძლია,
მას მტკვრის ტალღებმა დააკლო ვერ-რა.

II

ქალის წინაშე თეთრ კარავთანა
მოსჩანს ჭაბუკი პირ-მოღიმარი.
მარჯვენა ხელზე მიმინო უზის—
მწყრებზე სატევრად მოუთმინარი.
ჭაბუკისაგან, ვინც ეს შეიპყრო,
გაღმიდან სიტყვა ავი რამ ითქვა:
„ჰა, დედოფალო, აი მიმინო,
„არ დაივიწყო მეფური სიტყვა!“
ქალი არ ჩნდება კარავიდანა,
პირქვე მწოლარე მწარედა სტიროდა.
თავზე დაადგა ვიღაცა მწირი,
როდესაც ქალი ცხარე ცრემლს ჰღვრიდა,
ჩამოწეწილი ტანისამოსით,
თუმცა თვალთაგან სიწმინდეს სცრიდა.
წარბ-შეუხრელად, მოუკრძალავად
ჩაეუბნება ქალსა მოხუცი:
„ეხლა-ღა მიჰხვდი თვის შეცდომასა,
„რო მოიქმედე შენ საქმე ცუდი?!
„კარგი რომ ყრმამა თავს არა ჰკადრა,
„დაგზოგა შენა და თვისი ქუდი.
„რა იქნებოდა, ერთი იფიქრე,
„რომ მოეთხოვა მას საქმე მრუდი?!
„ეს ერთი. მერე, შენ დღეს, თუ ხვალე,
„უნდა დაგედგას თავზე გვირგვინი.
„განა მაგ ჭკუით უნდა განაგო,
„ვინც აგირჩია მეფედ, ისინი?
„უბრალო რაღაც ჩიტებისათვის
„ზოგი წყალს მისცე, სხვა დასწვა ცეცხლში
„უნდა კი ქვეყნის პატრონი გერქვას,
„მათ სამწყსოდ გეპყრას შენ კვერთხი ხელში?
„თუ ეგ ზნე-წესი არ მოიშალე,
„არ გამოსდგები მეფედ თვის დღეში!
„განა, შენ ერსა მისთვის უყვარხარ,
„სიყვარულისთვის ბალღამი ასვა?
„შენს მოტრფიალეს შენს ქვეყანასა
„გულზე გამგმირად ისრები ასვა?!.“

—

მას შემდეგ მოხდა, რომ სიცოცხლითვე
მამამ დაუთმო ქალს თვისი ტახტი,
მას მერმე იყო, რომ იგი ბრძნობდა,
მტრებისთვის იყო მმუსრავი ლახტი.
მხოლოდ მას შემდეგ მის ქვეშევრდომთა
გულში ჩაექრათ მისი გვირგვინი,
გახადეს იგი სალოცავ ხატად,
მის სათაყვანოდ მიაქვთ ბიბინი.
ვინ იყო ისა?—ჩვენის ოცნების
შეუმუსრავი ბურჯი მაგარი,
დაუთრგუნავი მეფეთაგანი,
ჩვენი სულ-გული,—მეფე თამარი!

ვაჟა-ფშაველა.

## მასწავლებელთა და აღმზრდელთა საყურადღებოდ.

სწავლა-განათლებისა და აღზრდის საქმე ერთი საჭირბოროტო კითხვათაგანი გახდა ამ ბოლო ხანში. რუსეთის მთავრობამ რამდენიმე ცვლილება მოახდინა, მაგრამ საქმეს მაინც ჯეროვანი გაუმჯობესობა ვერ დაეტყო.

საშუალო სკოლის არსებული წესწყობილება, რომ უკვე დაძველებული და დახავსებულია, ამაზე ლაპარაკიც მეტია; რომ საშუალო სკოლა უმეტეს შემთხვევაში „ჩინოვნიკებს“ და „კარიერისტებს“ ზრდის და არა ადამიანებს,—არც ამაშია ეჭვი. მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს საშუალო სკოლა, და სწორედ ეს გარემოება ხდის საჭიროდ, რომ მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა გამოიჩინონ მეტი მუყაითობა, ჩაუკვირდნენ თავიანთ მოვალეობას და, შეძლების-და გვარად, შეავსონ ნაკლი საშუალო სკოლის წესწყობილებისა.

„ცნობის ფურცლის“ მე-2316 №-ში მოთავსებული იყო წერილი შემდეგის სათაურით: «ინგლისის საშუალო სკოლის ხასიათი». ამ წერილში, სხვათა შორის, ინგლისის საშუალო სკოლის შესახებ ეწერა, რომ «რადგან ინგლისში ყოველ უნივერსიტეტს და პროფესიას თავისი საკუთარი მოთხოვნა და წესი აქვს, თვით მათ წევრთა მიერ დაწესებული, ამიტომ სკოლა, რომელიც ამზადებს ახალგაზდობას ამ დაწესებულებათათვის, ერთის პროგრამით ვერ იხელმძღვანელებს. სკოლა იძულებულია ასწავლოს ყოველ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს იმის მიხედვით, თუ ვის სად სურს შესვლა. ინგლისური საშუალო განათლება ყოველ შემთხვევისა და მოთხოვნილებისათვის შედგენილ ერთის პროგრამისაგან კი არ შესდგება, არამედ ცალკე დამოუკიდებელ საგნებისაგან. მოსწავლეს შეუძლიან ისწავლოს სამი ან ოთხი საგანი და ათი—თორმეტი, იმის მიხედვით, თუ რა მიზანი აქვს მას“. ცოტა ქვევით იმავე წერილში სწერია: „ყოველი საშუალო სკოლა, ისე როგორც ყოველი უნივერსიტეტი, ინგლისში სრულებით დამოუკიდებელი დაწესებულებაა და ამიტომ მოსწავლენიცა და მასწავლებელნიც წარმოადგენენ მჭიდროდ დაკავშირებულ წევრებს ერთის კორპორაციისას“.

ამნაირად არის საშუალო სკოლის საქმე დაყენებული ინგლისში. იქ სკოლა სრულიად დამოუკიდებელია მთავრობისაგან, იქ თვითოეულს საშუალო სასწავლებელს აქვს საკუთარი პროგრამა, რომელიც ხშირად განსხვავდება სხვა საშუალო სკოლების პროგრამისაგან. იქ მოსწავლეს შეუძლიან ისწავლოს ის საგანი, რომელიც მას მოსწონს და აინტერესებს. აი სწორედ ამის შესახებ მინდა მეც დღეს მოველაპარაკო მკითხველს.

ადამიანის ბუნება იმნაირია, რომ მას არ შეუძლია რამე აკეთოს უაზროდ, უმიზნოდ. თვითეულს თავის საქციელს—ავია თუ კარგი—ის ზომავს და სინჯავს სხვადასხვა მხრიდან. ვთქვათ, ადამიანს რამე აქვს გასაკეთებელი. ის მაშინვე შეეკითხება თავის-თავს: „რა არის ის, რაც მე მინდა გავაკეთო? რაში გამომადგება და რა საშუალებით შემიძლიან მივაღწიო მას?“ როდესაც ის მისცემს თავის თავს საჭირო პასუხს, მაშინ შეუდგება საქმის ასრულებასაც. უაზროდ მოქმედება ადამიანს შეუძლიან ან სიგიჟის დროს, ან აფექტის გავლენის ქვეშ, რაც ანორმალურს მდგომარეობას წარმოადგენს ადამიანისას. შეიძლება ადამიანი შესცდეს, რიგიანად ვერ გასაჯოს და ღირსეული ანალიზი ვერ გაუკეთოს თავის საქციელს, მაგრამ პროცესი ანალიზისა კი მაინც ხდება მასში.

როდესაც მოსწავლე წამოიზრდება და დაიწყებს თავისუფალს მსჯელობას, როდესაც მას გაეღვიძება კრიტიკული ალღო, მაშინ არ შეიძლება, ის არ შეეკითხოს თავის-თავს: „რა ვარ? რად ვსწავლობ? რად მინდა ის, რასაც ვსწავლობ?“ ამ დროიდან, როდესაც მოწაფე ამნაირად შეეკითხება თავის თავს, იწყება ახალი ხანა მის გონებრივსა და ზნეობრივს განვითარებაში... ამ დროიდან ის უკვირდება ყველაფერს, ცდილობს გამოერკვეს ბურუსიდან და გამოვიდეს ნათელსა და მისთვის გასაგებს გზაზე და... სწორედ ამ დროდანვე ის ხვდება სრულს კონტრასტს სიტყვისა და საქმის შუა, განყენებულ აზრებსა და რეალურ ცხოვრების შორის. მოსწავლე ხედავს, რომ ის, რასაც მას ასწავლიან, ხშირად ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ხედავს, რომ, რასაც ასწავლიან ერთს გაკვეთილზე, უარ-ჰყოფენ მეორეზე.

ამისთანა გარემოება აფიქრებს მოწაფეს: „რად ვსწავლობ ყველა ამას?“ ათასჯერ ეკითხება ის თავის თავს და ეძებს პასუხს ამხანაგებში, მშო-

...არალონ სეპარატისტობა და ამის შიშით უბრალო მოქალაქობრივი უფლების მოთხოვნასაც ვერ ვბედავთ.

რუსეთის ერთს ხოროში ჩვენც თანასწორი ხმა უნდა მოგვეცეს, —არასგზით არ შევვიძლიან დავეთანხმოთ იმ პრივილეგიებს, რომელიც, სხვებთან შედარებით, აქვს მინიჭებული ზოგიერთ ეროვნებას რუსეთში.

ჩვენ არ გვინდა მონებად ყოფნა! სულით მონა, ადამიანი, რომელიც მუდამ დაჩოქილი შიშითა და კრძალვით უყურებს თვალში ბატონს და ამასობაში ცდილობს მოტყუილებით და ჩუმად გამოსტაცოს რამე ჯიბიდან, —ასეთი ადამიანი მართლაც ღირსია მონობისა: ადამიანური თავმოყვარეობა არ ჰქონია და არც ყოფილა ადამიანი.

რისი უნდა გვეშინოდეს? ნუ თუ იმისი, რომ აღვიაროთ საჯაროდ, —ჩვენც ადამიანები ვართ და გვინდა ადამიანური ცხოვრება?

არა და არა... კმარა სიჩუმე და მოთმინება!

ეხლა, როდესაც მთელი რუსეთი ხმა-მაღლა ლაპარაკობს და ცდილობს მოაწყოს უკეთესად თავისი ცხოვრება, ჩვენ რად უნდა ვიყოთ გაჩუმებული და რად არ უნდა ვეცადოთ, რომ უკეთესად მოეწყოს ჩვენი ცხოვრება?..

ნ. ნ.

# რუსეთი

**ტვერის საგუბერნიო ერობის კრებამ,** რომელსაც დაესწრო 59 წევრი, **გადაწყვიტა შემდეგი:** მშვიდობიანობა და მტკიცე წესიერება შეიძლება დამყარდეს რუსეთში მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის ერი მიიღებს საჭირო უფლებებს, განათლებასა და თავისუფლებას. მხოლოდ რუსეთის ყველა მცხოვრებთა საერთო შრომით შეიძლება წესიერების აღდგენა. ტვერის საგუბერნიო ერობა მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ რუსეთისათვის აუცილებლად არის საჭირო ხალხისაგან ამორჩეულ წარმომადგენლების შეკრება, რომ ამ წარმომადგენლებმა გამუდმებულად, როგორც ცალკე დაწესებულებამ, თვალყური ადევნოს ადმინისტრაციის მოქმედებას და სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაც შეიმუშაოს ხოლმე.

მხოლოდ 9 კაცი შეიქმნა თურმე ამნაირ გადაწყვეტილების წინააღმდეგი. (ჴ.).

**მომავალ საერო კრებაზე,** რომელიც უნდა მოხდეს მარტში, მიწვეული იქნებიან ალბად საგუბერნიო მარშლები, გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარეები და საგუბერნიო ქალაქების მოურავები. ამას გარდა, იქ, სადაც შემოღებულია ერობა, უნდა აარჩიონ თითო წარმომადგენელი გუბერნიაზე. იმ გუბერნიების შესახებ კი, სადაც არ არსებობს ერობა, —ჯერ გადაწყვეტილი არაფერი არ არის. სულ საერო კრებაში იქნება 400-ზე მეტი წევრით. (ჴ.).

**გუბერნატორს შლიპპეს დაუთხოვია სამსახურიდან გუბერნიის საერობო გამგეობის ყველა წევრი და მოსამსახურე ტულაში.** (ჴ.).

**რამოდენიმეჯერ არ დაამტკიცა** თანამდებობაზე ბ-ნი დუპრეისი ქ. უფაში გუბერნატორმა, თუმცა თავად-აზნაურობა ყოველთვის ერთხმად ირჩევდა მას მარშლად. ეხლა თავად-აზნაურობა გუბერნატორს უჩივის. (ჴ.)

**მუშების კრება.** ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სადგომში 30 იანვარს კრება ჰქონდა მუშების საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრებს. კრება ძლიერის ექვით მოეკიდა ნ. შიდლოვსკის კომისიის მომავალ მოღვაწეობას, თავის წარმომადგენელები არ დაასახელა, — „სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო“, —და დეპუტატების არჩევა ცალკე კომისიას მიანდო. დანარჩენი კითხვებიც კრებამ საჭირო „სიფრთხილით“ და აწონ-დაწონით გადასწყვიტა და ზოგიერთ წევრის გატაცებულ და იმედიან ლაპარაკს —მალე მონობას ულელი აგვეხსნება, კანონიც ჩვენ მხარეს დადგებაო, —ცივი წყალი გადაასხა და მოიგონა, რომ მაინცდამაინც დიდი იმედებით ყოფნა არ გვმართებს, რადგანაც შეიძლება, მაგ., ხვალ 300—400 კაცი, ორთქლმავლის ამშენებელ ქარხანაში მომუშავე, ქუჩაში ულუკმა-პუროდ გამოყარონო.

დასასრულ კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა პეტერბურგში და რუსეთში დახოცილ ამხანაგთა ხსოვნას და გადასდო 500 მ. მათ ოჯახების სასარგებლოდ.

**ქალებმაც ხმა ამოიღეს** თავის უფლებების მოსაპოვებლად და, მაგალითად, ხარკოვის გუბერნიის საერობო კრებას შემდეგი განცხადებით მიჰმართეს:

„გუბერნიის საერობო გამგეობამ შეიმუშავა მოხსენება და, სხვათა ღონისძიებათა შორის, ერობის მოღვაწეობის გასაუმჯობესებლად, შესაძლებლად სცნო მეტი უფლება მიენიჭოს ქალებს ვექილობების გაცემაში. დავიჯეროთ ამის მეტი ვერაფერი გამოიმეტა ჩვენთვის გამგეობამ? დავიჯეროთ რუსის ქალი, რომელიც მუდამ იბრძოდა თავის ძმებთან, ქმრებთანა და ვაჟებთან ერთად ადამიანურ და მოქალაქობრივ უფლებათა მოსაპოვებლად, მარტო იმის ღირსი არის, რომ ვექილობის გაცემის უფლება ჰქონდეს? ნუ თუ არ დადგა დრო, როცა ეს ცრუმორწმუნოება უკუ-გდებულ უნდა იქმნეს და როდესაც ქალს უნდა მიენიჭოს ყველა ის უფლებები, რასაც ასე უსამართლოდ ართმევენ ხოლმე, —არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და ხმოსნად არჩევის უფლება. (რ. უ.).

**მცირერუსების ენა:** მინისტრთა კომიტეტში მცირერუსელებმა შუამდგომლობა აღძრეს მცირერუსულ ენას თავისუფლება მიეცესო, განთავისუფლონ ყველა იმ შემავიწროებელ განკარგულებისაგან, რომელიც უსამართლოდ სჩაგრავს და შეურაცხჰყოფს ერსაო. ამის შესახებ საყურადღებო მსჯელობა იყო აღძრული ოდესის საბჭოში. ხმ. ნოვიკოვმა სთქვა, რომ ჩემი ველიკორუსის გული მცირერუსიულ გულთან ერთად ფეთქსო. ჩვენი მოვალეობაა მოვსპოთ პირობები, რომელიც ჩვენს ნათესავ ერს სულს უხუთავს და სჩაგრავსო. პროფესორმა კლიმენკომ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ერთხმად ჩააჩუმეს.

# ქალაქის საბჭო

საბჭოს კრებას ორშაბათს დიდძალი გარეშე ხალხი დაესწრო. წარსული კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ ქალაქის თავმა განაცხადა, რომ სამღვდელო უწყების განკარგულებით საბჭოში ამ უწყების წარმომადგენლად, დეკანოზის ვოსტორგოვის მაგიერ, იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიის მღვდელი მიხაილოვსკი დანიშნაო. დიდი კამათი გამოიწვია ქუჩების მომკირწყველ კომისიის შუამდგომლობამ, — ნება მიეცეს გამგეობას 200,000 მანათის სესხის აღებისა, რადგანაც ქუჩების მოკირწყვლის საქმე უამისოდ შეჩერდებაო. მიზეზი ამ საკითხის გამო აღძრულ კამათისა იყო შემდეგი გარემოება. 1903 წ, საბჭომ გამგეობას დაავალა ქალაქის ქუჩების მოკირწყვლა და მოწესრიგება და ამისათვის მისცა მას 1 მილიონი მანათი, რომელიც ასე უნდა განაწილებულიყო: 400,000 მანათი უნდა მოხმარებოდა შუაგულ ქალაქის ქუჩების გაუმჯობესებულ წესით მოკირწყვლას, 600,000 მანათი კი განაპირა ადგილების უბრალო ქვა-ფენილს. მომკირწყვლელ კომისიას მუშაობის დროს განაპირა ქუჩების ფულიდან 150,000 მან. აუღია და პირველი ხარისხის ქუჩებისათვის მოუხმარებია და ამით დაურღვევია გადაწყვეტილება საბჭოსი, რომლითაც კომისიას დავალებული ჰქონდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია განაპირა ადგილების ქუჩებისათვის. ხმოსნებმა: ხუდადოვმა, ევანგულოვმა და გრიქუროვმა განაცხადეს, რომ განაპირა ადგილებია ქალაქის ცხოვრების „ძარღვი“, ამ ადგილას ბინადრობს მოსახლეობის მეტი ნაწილი ქალაქის მცხოვრებლებისა, აქედან მოდის ქალაქში უსაჭიროესი სანოვაგე და სურსათი, შუაგულში კი უსაქმოდ მოხეტიალე მცხოვრებლები სარგებლობენო. ხმ. ევანგულოვის სიტყვით, საზოგადოდ ძალიან უცნაურად უყურებენ განაპირა ქუჩებისთვის გადადებულ ფულს: საჭირო გახდა ქალაქის გაუმჯობესებულ განათებისთვის ფული, —იქიდან აიღეს, ქალაქის ხორცის გასაყიდ დუქნების მოსაწყობად ხარჯი დასჭირდათ, ისევ განაპირა ქუჩების თანხას მიმართესო. ასე აგდება განაპირა მოქალაქის ინტერესებისა არ ეკადრება საბჭოსაო.

ქალაქის მოურავის აზრი ეს იყო, რომ აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქალაქის ამა თუ იმ კუთხეზე ლაპარაკს, აქ მხოლოდ იმაზე უნდა ვიბაასოთ, საზარალო ხომ არ იქნება ქალაქისთვის ახალი სესხიო. ამ აზრს დაეთანხმა ხმ. ალიხანოვიც, რომლის აზრით ქალაქის ცხოვრების „ძარღვი“ იქ კი არ არის, საიდანაც კარტოფილი და კომბოსტო შემოდის, არამედ ქალაქის ის ნაწილი, სადაც სხვადასხვა დაწესებულება და მოსამსახურეები ცხოვრობენო.

საბჭომ ბოლოს ხმის უმეტესობით დაადგინა: დაევალოს გამგეობას ისესხოს 200,000 მანათი, საიდანაც უბრალო ქვა-ფენილის თანხა უნდა იყოს შევსებული და, როცა სესხს იშოვნიან და ამისათვის საჭირო დოკუმენტები შესრულებული და დამტკიცებული იქმნება, მხოლოდ მაშინ მიეცეს კომისიას უფლება უბრალო ქვა-ფენილის თანხიდან კიდევ ისესხოს ფული მუშაობის გასაგრძელებლად.

# ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 თებერვალი.

**ლონდონი.** იაპონიის მისიამ ოფიციალი ტელეგრამა მიიღო: „ტოკიო, 21 თებერვალი. სინინძინის მხარეს 20 თებერვალს დილით რუსები მტკიცედ გვეწინააღმდეგებოდნენ. შახეს მიდამოში იაპონელებმა იერიში მიიტანეს მაღლობზე ბენინლუბაოდან, 4 მილის მანძილზე, ვანტოშანიდან აღმოსავლეთისაკენ, და 19 თებერვალს რუსების წინა პოზიციები დაიჭირეს. იაპონელების რაზმმა, რომელიც ხანსუნმუბაოძისკენ მოქმედობს, 20 თებერვალს დილით აიღო რუსების რედუტი მაღლობზე. რკინის გზის გასწვრივ 20 თებერვალს იაპონელებმა აიღეს იუშანტუნი, ეანპაშანის სამხრეთ-აღმოსავლეთად, ორის მილის მანძილზე, და ამ სოფელში მყოფ რუსის რაზმს გარშემოერტყნენ. რკინის გზის დასავლეთად იაპონელებმა იმავე დღეს დაიპყრეს სანშენბაო და სანსუაბაო და წინ მიდიან. რკინის გზის სადგური სუიტანი იწვის“.

**ტოკიო,** 21 თებ. გაზეთებს დეპეშები მოსდით, რუსები დიდძალ დასახმარებელ ჯარსა გზავნიან მუკდენისკენ და მარცხენა ფრთიდან—ფუშუნისკენ, რადგან უკანასკნელის აღებით ტელინიც საშიშ მდგომარეობაში ჩავარდება.

საფრანგეთის მოქმედებამ, რომელიც ბალტიის ესკადრას მადაგასკარის ნავთსადგურებში დგომის ნებას აძლევს, აქ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ეს საქციელი იაპონელებს ნეიტრალიტეტის სერიოზულ დარღვევად მიაჩნიათ და ამბობენ, საფრანგეთი მტრად უნდა დავსახოთ, რადგან სამხედრო მოქმედებაში აქტიურ მონაწილეობას იღებსო.

**მუკდენი,** 21 თებ. მულდონის ახლო, მაძიაპუ—ნიუსინტუნს შორის, დღეს დილით დაწყებული არტილერიის ბრძოლა მზის ჩასვლამდე გაგძელდა. მიდამო ყუმბარებითა და ტყვიით არის მოცული. სროლა მუკდენშიც მოისმის და ოთხის ვერსის მანძილზე ქალაქს გარედ ჰექა-გრიალი. ბატარეები იბრძვიან საერთოდ და ცალცალკეც. მთელი მოედნები შამოზებით არის წაყრილი; ეტყობა, უნდა ჩვენს ბატარეებს მიაგნონ. უფრო საშინელი ცეცხლი საფელ იასნიტუნთან არის. სოფელი იწვის, ყუმბარებით ცეცხლმოდებული. ის დღეს ხან ერთის ხელში გადადიოდა ხან მეორესი. სხვა ადგილებში მხოლოდ არტილერიის ბრძოლაა. თითქმის ყველა დაჭრილთაგანს შრაპნელის ტყვია მოხვედრია. აქა-იქ ცხენებიც ყრია.. როგორც ეტყობა, ეს ბრძოლა მხოლოდ მზადებაა არტილერიისა. ცენტრსა და მარცხენა ფრთეზე ღამის მოიერიშენი უკუქცეულ იქმნენ. უფრო ცხარე იერიში იაპონელებმა იმ პოზიციებზე მიიტანეს, რომლებიც რკინის გზის ახლოა, კონდოლისანის მიდამოში, და რენენკამპფის ჯარზე. გაუტულინის უღელტეხილთან იაპონელებმა 2000 მოკლული მიატოვეს.

**გენერალ კუროკის ლაშქარი,** 20 თებ. (რეიტერ.). ვოიტოშანთან და მის მიდამოებში მაღლობებზე განუწყვეტელი სროლაა. ვოიტოშანის პირდაპირ იაპონელები წინ წავიდნენ და რუსები ცოტად უკან დასწიეს. მეორე რაზმი, ვოიტოშანის აღმოსავლეთად, მდინარეს გადავიდა და რუსების პირველი რიკის სათარები აიღო. პარასკევს დილით რუსებმა ამ ადგილზე იერიში მიიტანეს აღმოსავლეთ-დასავლეთიდან. მერე შუაგულის ტრანშეებში ცდილობდნენ შეჭრას, მაგრამ ხიშტებით უკუაქციეს. იაპონელებს მეტად აწუხებს ყინვა, ქარი და თოვლი, რის გამო ტრანშეებში წვანან, ერთმანეთზე მიყრილი.

**მუკდენი,** 21 თებერვალი. დილის 4 საათ. 20 წუთი. უმთავრესი ბრძოლა საღამოს იყო ტაშიჩაოს მიდამოებში. ყველანი თავის პოზიციებზე დარჩნენ და ძალიან კი დაზიანდნენ მტრის არტილერიის ცეცხლისაგან. ცენტრში შედარებით სიწყნარეა. მარცხენა ფრთეზე იაპონელებს იერიში მიჰქონდათ კანდოლისანის მიდამოსა და რენენკამპფის ჯარზე. დღეს რიჟრაჟზე ბრძოლა განახლდა მუკდენთან. არტილერიის ცეცხლი მეტად გაძლიერდა.

22 თებერვალი.

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: საზოგადოების მყუდროების დასაცველად ბაქოსა და მის გუბერნიაში უწესობის მოსასპობლად ჩვენ საჭიროდ ვცანით: 1, ქალაქ ბაქოს და მის გუბერნიაში გამოცხადებულ იქმნას ომიანობის დროის დებულება; 2, კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმსრულებელს მიენდოს სამხედრო უფროსის უფლება და სამოქალაქო უწყების ადმინისტრაციულ დაწესებულებათა უფლება-მოვალეობანი იმ ადგილების შესახებ, სადაც ომიანობის დებულება იქმნება შემოღებული.

18 თებერვალს დანიშნული იყო მუშათა წარმომადგენლების არჩევნები იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც უნდა გამოეკვლია პეტერბურგის მუშათა უკმაყოფილების მიზეზები. ვიდრე არჩევნები დაიწყებოდა, კომისიის თავმჯდომარეს ამომრჩევლებმა განუცხადეს, არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ, თუ რომ ჩვენს განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნილებანი არ იქნება დაკმაყოფილებულიო. კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა, ბევრი მოთხოვნილებათაგანი არ შეიწყნარება, რადგან კომისიას და მის თავმჯდომარეს ამის უფლება არა აქვს მინიჭებულიო. ამიტომ ცხრისაგან შვიდმა ჯგუფმა არჩევნებში მონაწილეობის უარი განაცხადა და ამრიგად კომისია ვერ შესდგა იმ სახით, როგორც უმაღლესად ნაბძანები იყო, რადგან მუშებმა წარმომადგენლები არ აირჩიეს. ამის გამო ხელმწიფე იმპერატორმა 20 თებერვალს უმაღლესად ებრძანებინა: კომისიის მოქმედება მოსპობილ იქმნას.

ესტლიანდიის გუბერნატორი ბელგარდი უმაღლესის ბრძანებით ბეჭდვითი საქმის უმაღლეს სამმართველოს უფროსად იქმნა გამწესებული.

**გროზნი,** 21 თებერვალი. გროზნის [illegible] მშვიდობაა. მრავალნი ცოლშვილით რკინის-გზით მიდიან როსტოვისკენ. ბანკსა და ხაზინას ჯარი დარაჯობს. ქალაქთან ჯარია დაბანაკებული.

**ბაქო,** 21 თებერვალი. დიდის ხნის მიყუჩების შემდეგ პირველ სიცოცხლის ნიშანი დაეტყო.

**ლონდონი.** ბულგარიის მთავარი ფერდინანდი დუვრს მოვიდა. მეფე ედუარდის სახელით მთავარს სერ კონდი სტეფანი მიეგება და მოკითხვა მოახსენა. თავისი სწრაფის მატარებლით ლონდონს მოვიდა საღამოს შვიდ საათზე. სადგურზედ უცდიდნენ უელსის პრინცი, ლანსდოუნის წარმომადგენელი და ოსმალეთის ელჩი. უელსის პრინცი მხურვალე ხელის ჩამორთმევით მიესალმა. თავადი დიდხანს ებაასა ოსმალეთის ელჩს და შემდეგ პრინცითურთ ბუკინგემის სასახლისკენ გაემართა. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სერ კონდი სტეფენი ბულგარის თავადს უნდა ახლდეს, ვიდრე აქ იქნება.

**პარიზი,** 21 თებერვალი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობებით, ინგლისელ გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, ვითომც იაპონიის ესკადრა ინდოეთის ოკეანეზე გავიდაო, უსაფუძვლო ყოფილა.

**თავრიზი.** ადგილობრივი მცხოვრებნი აშფოთებულნი არიან სომხების წინააღმდეგ.

**კრონშტადტი,** 21 თებერვალი. ქუჩებში გაკრულია ოფიციალური განცხადება ბალტიის ფლოტის უფროსის ვიცე-ადმირალ ბირილიოვისა: ვუცხადებ ხელოსნებს, რომელნიც კრონშტადტის პორტს არ ეკუთვნიან, და მივანდობ იმათ კეთილ სურვილს—განაგრძონ ან შეაჩერონ მუშაობა. ორ პირობას ვაძლევ; პირველი, ყველა, ვინც მუშაობაზე ხელს აიღებს, კრონშტადტიდან უნდა წავიდეს; მეორე, ვინც მუშაობას აჰყვეთს, შემდეგ სამუშაოს ვეღარ მიეკარება. ვინც პირველ პირობას არ შეასრულებს, ციხიდგან განდევნილ იქმნება. პორტში მუშაობა არ შეწყვეტილა.

**ბაქო,** 21 თებერვალი. 19 თებერვალს ქალაქსა და გუბერნიაში ომიანობის დროის დებულება გამოცხადდა. ქუჩებში ქვეითი ჯარისა და ყაზახების რაზმები დადის. მშვიდობიანობა აღდგენილია. საღამოს 8 საათიდან ყოველი მოქმედება მოსპობილია. კლუბი დარიელია, თეატრი დაკეტილია. თავად ამილახვარს წარუდგნენ ქალაქის მოურავი და ხმოსნები. თავადმა განუცხადა, ყოველი ღონისძიება მიღებულ იქმნა მშვიდობიანობის დასაცველად. არეულობა ვეღარ გამეორდებაო.

**ვენა,** 21 თებ. რუსეთის ელჩმა თავად ურუსოვმა ოფიციალ აუდიენციაზე იმპერატორს მიართვა თვისი რწმუნების ქაღალდები.

**ხარკოვი,** 21 თებ. კარდახურულ სასამართლოში გაირჩა საქმე სტუდენტ პეტროვისა, რომელსაც სტუდენტ ზოლოტაროვის მოკვლა უნდოდა. პეტროვი გამართლდა. სამოქალაქო მომჩივანს კულიკოვს ხალხმა ოვაცია გაუმართა.

**პეტერბურგის ბირჟა 18 თებერვალი 1905 წ.**

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 94,30 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | — |
| პარიჟისაზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,95 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | 37,67½ |
| ბირჟის დისკონტი | 5¼—6¾% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 89¾ |
| 4%-ანი სახ. სესხი 1092 წ. | — |
| 4½% შინაგანი სესხ. 1903 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ. | 86¼ მ. |
| 5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ. | 393 „ |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 323 „ |
| 5% გირ. მომ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ. | 269¼ „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ. | 90¼ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ. | — |

ბლებს, ნათესავებსა და მასწავლებლებში. მერე რა ესმის მას პასუხად? ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე ყმაწვილს, რომელსაც ჯერ არ შეხებია ცხოვრების ხელი და რომელიც ცხოვრობს ფანტაზიით და ფერადოვანის სურათებით, ყოველის მხრიდან ესმის მხოლოდ ერთი პასუხი: «იმიტომ, რომ კურსი დაამთავრო და მიიღო ატესტატი». „ატესტატი, ატესტატი“, ჩასძახიან მას მშობლები, „ატესტატი, ატესტატი“, ჩასძახიან მასწავლებლები. „ატესტატი“, კვლავ უმეორებს საბრალო მოსწავლეს საზოგადოება... და მოწაფეც სწავლობს, სწავლობს იმიტომ, რომ მიიღოს ატესტატი“, ეს ვითომდა ერთად-ერთი მიზანი და სალხარი ცხოვრებისა. მოწაფე სწავლობს და სრულიად ავიწყდება, რომ უმთავრესი მისი დანიშნულება, უმთავრესი მისი მოვალეობა ატესტატი კი არ არის, არამედ ცოდნაა და განვითარება, ატესტატის სურვილი იქამდის გამჯდარი აქვს ეხლანდელ ახალგაზდობას, უატესტატო ახალ-გაზდა იქამდის არაფრად მიაჩნია ჩვენს დახავსებულ საზოგადოებას, რომ, ძალა-უნებურად, მხოლოდ ატესტატი ხდება ცხოვრების მიზნად.

მაგრამ ყველა მოსწავლე ხომ ერთნაირი არ არის? ერთი ცოცხალი ბუნებისაა, მეორე კი არა; ერთი ნიჭიერია, მეორე-კი—უნიჭო; ერთი შრომის მოყვარეა, მეორე-კი—ზარმაცი; ერთი უფრო განვითარებულია, ვიდრე მეორე. ჯერ ისევ 7—8 წლის ყმაწვილებიც-კი, რომლებიც ახლად იწყებენ სწავლას, ძალიან განირჩევიან ერთმანეთისაგან. აბა დააყენეთ ერთად კარგს, ინტელიგენტურს ოჯახში გაზრდილი ყმაწვილი გაუნათლებელს და ცუდ ოჯახში გაზრდილ ყმაწვილთან და თქვენ ნათლად დაინახავთ სრულს კონტრასტს. ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოზრდილი მოსწავლენიც.

ზოგი თუ დაემორჩილება საზოგადოების აზრს, რომ ერთად ერთი მიზანი სწავლისა ატესტატია, ზოგი ცხოვრების მიზნად ატესტატს-კი არა, სწავლას, ცოდნას და განვითარებას გაიხდის. მაშინ მას ვეღარ დააკმაყოფილებს ისეთი სწავლა, რანაირიც ეხლა არსებობს, ის მოინდომებს უკეთესს, მეტს. მაგრამ, რადგანაც მას არ შეუძლიან ყველაფერი შეისწავლოს ზედმიწევნით, ამიტომ არჩევს იმ საგანს, რომელიც მას უფრო აინტერესებს, რომელიც მან უკედ იცის და რომლისადმისაც ის მეტს მისწრაფებას გრძნობს. დანარჩენი საგნები-კი რჩება ხელ-უხლებელი.

ზოგი გატაცებით აკეთებს მათემატიკურ ამოცანებს, ერთთავად ანგარიშობს, ერთთავად ფორმულებშია გართული; მეორე-კი იზეპირებს ლათინურ და ბერძნულ სიტყვებს და ამ ენების ცოდნა შეადგენს მის სიამოვნებას; მესამე გატაცებით ეტანება ლიტერატურულ თხზულებას და კითხულობს მათს კრიტიკას; მეოთხე სწავლობს ისტორიას; ზოგი ერთი წინადადებასაც ვერ გაიგებს ფილოსოფიურს თხზულებაში, ზოგს-კი გადაკითხული აქვს ჰერბერტ სპენსერი, კანტი, ნიცშე და სხვანი. ერთის სიტყვით, ყოველთვის მოსწავლის სიმპატია ერთის ან რამდენისამე საგნისადმი არის მიხრილი.

თუ თქვენ აწვდით მასალას ამ საგნიდან, მაშინ ის გატაცებით ისმენს თქვენს ლაპარაკს და ცდილობს, რომ არც ერთი სიტყვა არ დარჩეს გაუგებარი; როდესაც თქვენ ლაპარაკობთ სხვა საგანზე, მაშინ ის გისმენთ, მაგრამ ცდილობს შეისწავლოს იმდენად, რამდენადაც საჭიროდ ხედავს თავისთვის. რა მდგომარეობაში უნდა იყოს მოსწავლე, რომელსაც სურს შეიძინოს მათემატიკური ცოდნა და მას-კი აზეპირებენ ბერძნულსა და ლათინურ სიტყვებს; მოსწავლეს უნდა შეისწავლოს ლიტერატურა და ფილოსოფია და მას-კი ჩასძახიან მათემატიკურს ფორმულებს?! უეჭველია, რომ ამისთანა პირობებში მოსწავლე ვერც ერთ საგანს ვერ შეისწავლის ხეირიანად და საშუალო სკოლიდან გამოვა არაფრის მცოდნე. ამიტომ არის, რომ მოსწავლე, როდესაც უნივერსიტეტში იღებს რომელსამე სპეციალურ საგანს, იძულებული ხდება თავიდან დაიწყოს ყველაფრის სწავლა.

შეიძლება, მკითხველმა მიპასუხოს, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ მივცეთ მოსწავლეს ჯერ საზოგადო ელემენტარული ცოდნა, უნდა ვეცადოთ გავზარდოთ ადამიანები და არა სპეციალისტებიო. როდესაც მოსწავლე საშუალო სასწავლებელში ცოტაოდნად გაიცნობს ყველა საგნებს, მაშინ მას შეეძლება უნივერსიტეტში თამამად აირჩიოს რომელიმე სპეციალური საგანი და შეუდგეს მის შესწავლასო. საშუალო სასწავლებელში-კი მას ჯერ არ შეუძლიან კრიტიკის თვალით შეხედოს საგნებს და ამიტომ ხშირად შესცდებაო.

ძალიან კარგი, მაგრამ, თუ თითონ მოსწავლეს არ შეუძლიან, მასწავლებელს ხომ შეუძლიან? აი სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ მასწავლებლები უკედ იცნობდნენ მოსწავლეებს. რაც შეეხება სპეციალისტობას, მეც არ ვამბობ, რომ საშუალო სკოლის სასწავლო მასალა დაყოფილი იყოს რამდენსამე სპეციალურ საგნებად-მეთქი. მოსწავლეს უნდა ასწავლიდნენ ყველაფერს, მაგრამ, რახან მას ერთხელ გაეღვიძება სურვილი რომელიმე საგნის უკედ გაცნობისა, მას ყველაფერი არ უნდა აჰკიდონ ზურგზე მძიმე ტვირთად.

ამ პირობებში გადაიშლება ყმაწვილის პიროვნება, გამოირკვევა მისი მისწრაფება და მიდრეკილება, ნიჭი და კეთილი სურვილი; მაშინ აღარ დაიჩაგრება მოსწავლის არც გონება და არც ინდივიდუალობა. მაგრამ რუსეთი ხომ ინგლისი არ არის და ამიტომ რუსეთს ვერ მოვთხოვთ იმას, რაც მოეთხოვება დაწინაურებულს ინგლისს, სადაც პიროვნება არაოდეს არ იჩაგრებოდა.

რუსეთში სწავლა-აღზრდის საქმე მიდის ერთის პროგრამით, რომლის ღალატიც ყოვლად შეუძლებელია. ვინც დაემორჩილება ამ პროგრამას, მას შეუძლიან დარჩეს სასწავლებელში. მას მოელის ატესტატი, დიპლომი და შემდეგ „კარიერა“. ამის მიღწევისათვის ბევრნაირი საშუალება არსებობს; მოსწავლე კი, რომელსაც უნდა შეისწავლოს ერთი ან რამოდენიმე საგანი ცოტათი საფუძვლიანად, სრულ[illegible] უპატრონოდ რჩება. მან თითონ უნდა იფიქროს თავისთვის, თითონ უნდა იშოვნოს გონებრივი საზრდო; და რადგანაც ეს ძალიან ძნელია, ამიტომ ამისთანა მოსწავლენი სისტემატიურს სწავლას მოკლებულნი არიან; ისინი კითხულობენ ყველაფერს, რაც კი ხელში შეხვდებათ, განურჩევლად იმისა, ავია თუ კარგი. აი სწორედ ეს მდგომარეობა ჰბადავს იმ ფრაზიორებს და რეზონერებს, რომლებიც ისე ძალიან ეჯავრება საზოგადოებას. მაგრამ არ იქნებოდნენ ისინი არც რეზონერები და არც ფრაზიორები, მათი ცოდნის შეძენა და განვითარება რომ სისტემიანი ყოფილიყო.

მართალია, ასეთი პირები აცდენილნი არიან სწორე გზას, მაგრამ არა უკეთეს გზას ადგანან ისინიც, რომლებსაც ერთად-ერთ მიზნად გაუხდიათ კარიერა და პირუტყვული ეგოიზმი. „როდესაც ხედავ, სწერს ბელინსკი, ჭკვიანს და კითხვის მოსიყვარულე ყმაწვილს ან მოზარდს, რომელსაც აღარავითარი საშუალება არა აქვს სწავლისა და განათლებისათვის, დარჩენილია ბუნებისა და თავისთავის ამარად და გატაცებით კითხულობს ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდება, კარგსაცა და ავსაც. გეცოდება ის და თან გიხარიან, —მაინც სჯობიან და უფრო სასარგებლოა ასეთი კითხვა, ვიდრე სიზარმაცისაგან არაფრის კეთება, „ქაღალდისა და ბილიარდის თამაშობა და ღვინის სმა“ (ტ. XI, გვ. 170).

კიდევ ერთი გარემოება უწყობს ხელს იმას, რომ მოსწავლე ხდება რეზონერი. ეს გარემოება არის საყმაწვილო ლიტერატურის უქონლობა. ამ მხრით კოჭლობს დასავლეთ ევროპაც და, რა გასაკვირელია, რომ ჩვენ არა გვქონდეს კარგი საყმაწვილო ლიტერატურა. ხშირად შეხვდებით იმისთანა საყმაწვილო წიგნებს, რომლებშიაც გადაშლილია მორალი მორალზე, რაც ძალიან ეჯავრებათ ყმაწვილებს. „ასაზრდოეთ და განავითარეთ მასში გრძნობა, —ამბობს ბელინსკი, — გაუღვიძეთ წმიდა და არა ანგარიშიანი სიყვარული კეთილისადმი, შეაყვარეთ კეთილი თვით კეთილისათვის და არა იმისთვის, რომ სასარგებლოა კეთილობა; აუმაღლეთ სული თავ-განწირულების მაგალითებით... ნუ ეტყვით „ეს კარგია და ეს ცუდი, ამიტომ და იმიტომ“, მაგრამ აჩვენეთ კარგი, ნურც კი დაუსახელებთ, რომ ის კარგია. დაე, ყმაწვილები თვითონ, თავის გრძნობით, მიხვდნენ, რომ ის კარგია; აჩვენეთ ცუდი, მაგრამ ნუ ეტყვით, რომ ის ცუდია; დაე, მათმა გრძნობამ შეაჯავროს ეს ცუდი (ტ. II გვ. 224) „საყმაწვილო წიგნები ისე უნდა იწერებოდეს, რომ დიდმაც სიამოვნებით იკითხოს. საყმაწვილო მწერალი უნდა ცდილობდეს, რომ თავიდან მოიშოროს მორალური სენტენციები, რომლებიც უჩაგრავენ ყმაწვილებს ცოცხალს ბუნებას და მის მაგიერად აჩვევენ რეზორესობას.

მოსწავლეს, რომელიც გაზდილია ეხლა სკოლებში შემოღებულ საყმაწვილო წიგნების გავლენის ქვეშ, უმეტეს შემთხვევაში რეზონერი გამოდის; ყმაწვილი კი, რომელიც თავიდანვე არ ეჩვევა წიგნების კითხვას შემდეგში აღარაფერს კითხულობს სკოლის პროგრამის გარეშე და, ამრიგად, მის ერთად-ერთ მიზნად ხდება ატესტატი, დიპლომი და კარიერა.

რა მოვალეობა აწევთ ამისთანა პირობებში მასწავლებლებს და აღმზრდელებს? მათ ხომ არ შეუძლიანთ იმოქმედონ პროგრამის გარეშე? რასაკვირველია, არა. მაგრამ მათ უნდა ჩაუნერგონ მოსწავლეს გულში, რომ ერთად-ერთი მისი მიზანი უნდა იყოს ჭეშმარიტის ცოდნის მიღება და არა ატესტატი; რომ მისი ცხოვრების საგანი უნდა იყოს ადამიანური ცხოვრება და არა კარიერა, მასწავლებლებსა და აღმზრდელებს ევალად ედებათ შეურჩიონ ხოლმე მოსწავლეებს საკითხავი წიგნები, რომ ამით დაიხსნან უსისტემო კითხვისაგან, რაც ხშირად ახალგაზდობაში ავითარებს ცუდ თვისებას, —ფრაზიორობასა და რეზონერობას.

ა. ჯ—შვილი.

5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა . . . —
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა . . . . —
6% გირ. ფურც. ქუთ. სათ.-მამ. ბანკისა . . —
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . —
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია . . . . . . 215

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ); 3 სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ. 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

## სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასატუროვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამალიც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქონკისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

◆ ახლად გახსნილი ◆

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა

„შ რ ო მ ა“

(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)

**იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.**

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა,** რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით ქვისა, სადურგლო და სხვა სამუშაოები ერთად ან ცალკ-ცალკე, რაც-კი მ. ო. არამიანცის სახელობაზე ავლაბარში ასაგებ საავადმყოფოს პავილიონის აგებას მოუნდება. სატეხნიკო პირობები, ხელშეკრულობა და ხარჯთ-აღრიცხვა მსურველს შეუძლიან გასინჯოს ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, დილის 11-დან 3 საათამდე. წერილობითი განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებში და კვიტანციები ქალაქის კასსაში ბეს წარდგენის შესახებ უნდა შეტანილ იქმნას ქალაქის გამგეობაში დაბეჭდილ კონვერტით 3 მარტის ნაშუადღევის

(3—ნ.—3)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 3 მარტს დანიშნულია სიტყვიერი საჯარო ვაჭრობა, რომლითაც იჯარით მიეცემა მსურველს ქალაქის ქუჩებისა და მოედნების დასასუფთავებლად ცხენების შოვნა. განცხადების შემოტანა შეიძლება წერილობითაც, რაც კონვერტებში უნდა იყოს ჩადებული და მასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს კვიტანციები იმის საბუთად, რომ კასაში შეტანილია ბედ 500 მანათი. ყველა ეს გამგეობაში უნდა გამოიგზავნოს არა უგვიანეს 3 მარტის შუადღის 1 საათისა. პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის ალმაშენებელ განყოფილებაში 11 საათიდან 3 საათამდე ყოველ დღე, დღესასწაულების გარდა.

(3—1)

საყმაწვილო ჟურნალი

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“

ს უ რ ა თ ე ბ ი თ

**გამოდის მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის**

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებ თ. **წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.**

**ჟურნალის ფასი:** ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდრს ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, „წერა-კითხვის გამომც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი.
Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

თხზულება ნ. ნიკოლაძისა

**იაპონია**

ფასი – 20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი

**შოთა რუსთაველისა** ფ.-50კ.

ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

(10—31—3)




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—ნ.—2)

## განცხადება.

**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე-14 §-ისა, ამა 1905 წლის 31 მარტს ბანკის სადგომში, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლში, მოხდება საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ კაცთა უძრავ მამულებისა, ბანკის ხვედრ გადასახადთა დროზე შეუტანლობისა გამო, რომელიც დადგენილია ბანკის წესდების 12, 17, 27, 28, და 36 §§-ის ძალით.

თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, თანახმად ბანკის წესდების მე-20 §-ისა, მოხდება იმავე ბანკის გამგეობის სადგომში 1905 წლის 12 აპრილს.

ვაჭრობა, თანახმად ბანკის წესდების მე-17 §-ისა, დაიწყება გადუხდელად დარჩენილი თავნი ვალის ჯამიდან და მიემატება აქვე ნაჩვენები ბანკის მსესხებლებზედ დარჩენილი გარდასახადები და აგრეთვე საერობო და საქალაქო ბეგრის გარდასახადებიც.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ფულად ბე, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკის მსესხებლებზე დარჩენილ გარდასახადთა და იმ საერობო და საქალაქო ბეგრის დარჩენილ გარდასახადთა ჯამს, რომელიც ვაჭრობის დღეს აღმოჩნდება მამულზე.

გამყიდველი ვალდებულია დამტკიცების გარდასახადი და ვაჭრობაში წამატებული ფული ვაჭრობის დღიდან 14 დღის განმავლობაში წარმოადგინოს.

მყიდველს შეუძლიან თავნი ვალი თავის თავზე გადაიღოს და წინანდელ მამულის-მფლობელის ვალდებულებანიც თვითონ იკისროს.

თანახმად ბანკის წესდების მე-15 §-ისა, მამულის პატრონს შეუძლიან დარჩენილი გარდასახადი ვაჭრობის შემდეგ წარმოადგინოს და მამული საჯარო ვაჭრობიდან გაანთავისუფლოს.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ საჭირო ქაღალდები, რომელიც გასასყიდ მამულებს ეხება, საქმის დღით ბანკის კანცელარიაში.

ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ, თუ გასაყიდ მამულთა პირველი აღწერილობა ეხლანდელ მათ მდგომარეობას არ შეეფერება, ბანკი ამის გამო პასუხს არ ზღებს.

### ქალაქის მამულები ქ. ტფილისისა.

**კონდახსაზოვი,** ნიკოლოზ (იგივე კარაპეტ) სარქისას ძე (იგივე სერგოს ძე): შენობანი და მიწა, ზომით: საბუთის ქაღალდებით—70 ოთხ-კუთხი საჟენი, ხოლო ბანკის დამფასებელთა აღწერილობით—99 ოთხ. კ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება; მე-7-ნაწილში, კარაპეტის ქუჩაზე და პეტრეს ვიწრო შესახვევში.

თავნი ვალი 1161 მ. 68 კ. შესატანი გარდასახადი 66 მ. 41 კ., სულ—1228 მ. 09.

### ქ. თელავისა.

**შიუკაშვილისა,** დარია მიხეილის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 128 ოთხ. კ. საჟ.

თავნი ვალი 1834 მ. 83., შესატანი გარდასახადი 106 მ. 49 კ., სულ 1941 მ. 32 კ.

### სოფლის მამულები,

რომელთა გირაოთიც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი.

### ტფილისის გუბერნიისა

ტფილისის მაზრისა.

**რუსიშვილი—ყორჩიბაშიშვილები,** მარიამ ალექსანდრეს ასული და ქეთევან ივანეს ასული, და **ერისთავისა,** ნინო ივანეს ასული: სხვადასხვა ადგილები, მიწა ზომით 500 დეს., გომბორის მამულში.

თავნი ვალი 4922 მ. 98 კ., შესატანი გარდასახადი 159 მ. 92 კ., სულ—5082 მ. 90 კ.

### თიანეთის მაზრისა:

**ცისკარაშვილისა,** ანნა ზაქარიას ასული: სახნავი მიწა, ზომით 26 დეს. 2110 ოთხ-კუთხი საჟ., სოფ. ახმეტაში.

თავნი ვალი 835 მ. 72 კ., შესატანი გარდასახადი—45 მ. 11 კ., სულ—880 მ. 83 კ.

**თ. ჭავჭავაძე,** ნიკოლოზ და მიხეილ ზურაბის ძენი (მემკვიდრენი): სხვადასხვა ადგილები, მიწა ზომით 669 დეს. 180 ოთხ. კ. საჟ. ალოტის მამულში, აგარაკ საჭავჭავაძეოში.

თავნი ვალი 1621 მ. 47 კ., შესატანი გარდასახადი—100 მ. 70 კ., სულ—1722 მ. 17 კ.

### თელავის მაზრისა.

**ანდრონიკაშვილისა,** დარია ლევანის ასულის სხვადასხვა ადგილები, მიწა ზომით 54 დეს. 80 ოთხ. კ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, წინანდლის საგარაკოში.

თავნი ვალი 1936 მ. 14 კ., შესატანი გარდასახადი 69 მ. 95 კ., სულ 2006 მ. 09 კ.

**თ. ანდრონიკაშვილი,** ილია აკაზის ძე: სხვადასხვა ადგილები, მიწა ზომით 29 დეს. 270 ოთხ. კ. საჟ., სოფ. ხორხელში.

თავნი ვალი 1914 მ. 61 კ., შესატანი გარდასახადი 69 მ. 95 კ., სულ—1984 მ. 56 კ.

**ოსკანოვი,** იაგორ არტემის ძე (საჯარო ვაჭრობის დროს დარჩა მიხეილ გიორგის ძე **ტარასოვს,** მაგრამ დამტკიცების საბუთი ბანკისთვის ჯერ არ წარმოუდგენია): სხვადასხვა ადგილები, მიწა ზომით 44 დეს. 1460 ოთხ. კ. საჟ., კონდოლისა და კისისხევის საგარაკოში.

თავნი ვალი 4569 მ. 78 კ., შესატანი გარდასახადი 160 მ. 42 კ., სულ—4630 მ. 20 კ.

**შიუკაშვილისა,** დარია მიხეილის ასული: სხვადასხვა ადგილები, მიწა ზომით 43 დეს. 1455 ოთხ. კ. საჟ., კურდღელაურისა და თელავის სატყეო საგარაკოში.

თავნი ვალი 1481 მ. 37 კ. შესატანი გარდასახადი 59 მ. 05 კ., სულ—1540 მ. 42 კ.

### სოფლის მამულები,

რომელთა გირავნობითაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი.

### ტფილისის გუბერნიისა და დუშეთის მაზრისა.

**ყაზახაშვილი,** კონსტანტინე ფილიპეს ძე (საჯარო ვაჭრობის დროს დარჩა სერგო ნიკოლოზის ძე **ყაზახაშვილს,** მაგრამ ჯერ თავის სახელზე არ დაუმტკიცებია): სახნავი ადგილები და ვენახი, მიწა ზომით 26 დეს. 1210 ოთხ-კ. საჟ., ბოკოცინის და გალავანის საგარაკოში.

თავნი ვალი 1200 მ., შესატანი გარდასახადი 62 მ. 32 კ. სულ 1262 მ. 32 კ.

### სიღნაღის მაზრისა.

**თ. ანდრონიკაშვილისა,** დარია ლევანის ასული: სხვადასხვა ადგილები, მიწა ზომით 13 დეს. 1630 ოთხ-კუთ. საჟ., გურჯაანის საგარაკოში.

თავნი ვალი 2000 მ. შესატანი გარდასახადი 97 მ. 45 კ, სულ—2097 მ. 45 კ.

**თ. ვაჩნაძე,** მიხეილ რევაზის ძე: ვენახი, ზომით 4 დეს. 1060 ოთხ-კუთხი საჟ., ს. ბაკურციხეში.

თავნი ვალი 2000 მ., შესატანი გარდასახადი 97 მ. 20 კ., სულ—2097 მ. 20 კ.

**წინამძღვარიშვილი,** ალექსანდრე ზაალის ძე: ვენახი, ზომით 2 დეს. 1600 ოთხ-კ. საჟ., ახაშენის საგარაკოში.

თავნი ვალი 528 მ., შესატანი გარდასახადი 33 მ. 01 კ., სულ 561 მ. 01 კაპ.

### თელავის მაზრისა.

**თ. ჯანდიერისა,** ანასტასია ბესარიონის ასული. ვენახი, ზომით 2 დეს. 555 ოთხ-კ. საჟ., სოფ. ვაჩნაძიანში.

თავნი ვალი 1000 მ. შესატანი გარდასახადი 53 მ. 60 კ., სულ—1053 მ. 60 კ.

**თ. ჯანდიერი,** ვლადიმერ ივანეს ძე: ვენახი, ზომით 3 დეს. 1100 ოთხ-კ. საჟ., ვაჩნაძიანის საგარაკოში.

თავნი ვალი 1900 მ., შესატანი გარდასახადი 93 მ. 09 კაპ., სულ 1993 მ. 09 კ.

**გოგნიაშვილი** დავით ივანეს ძე: ვენახები ზომით 6 დეს. ქვემო-ხოდაშენის საგარაკოში.

თავნი ვალი 1200 მ., შესატანი გარდასახადი 42 მ. 70 კ., სულ—1242 მ. 70 კ.

**თ. ჯანდიერი,** ზაალ ივანეს ძე: სამოსახლო ადგილის ვენახი, ზომით 1 დეს. 1220 ოთხ-კ. საჟენი, ს. ვაჩნაძიანში.

თავნი ვალი 360 მ., შესატანი გარდასახადი 30 მ. 16 კ., სულ—390 მ. 16 კ.

**თ. ჯანდიერი,** სვიმონ ალექსანდრეს ძე (საჯარო ვაჭრობის დროს დარჩა სვიმონ რევაზის ძე **ვახვახიშვილის,** მაგრამ თავის სახელზე ჯერ არ დაუმტკიცებია): სამოსახლო ადგილი და ბაღი, მიწა ზომით 1440 ოთხ-კ. საჟ., სოფ. ვაჩნაძიანში.

თავნი ვალი 280 მ., შესატანი გარდასახადი 44 მ., 04 კ., სულ—324 მ. 04 კ.

**თ. ჯანდიერი,** სვიმონ ალექსანდრეს ძე (საჯარო ვაჭრობის დროს დარჩა თ. იოსებ ალექსანდრეს ძე **ჯანდიერს,** მაგრამ თავის სახელზე ჯერ არ დაუმტკიცებია): ვენახები, ზომით 1 დეს. 140 ოთ.-კუთ. საჟ., სოფ. ვაჩნაძიანში.

თავნი ვალი 420 მ., შესატანი გარდასახადი, 28 მ. 33 კ., სულ—448 მ. 33 კაპ.

### თიანეთის მაზრისა.

**თ. ჩოლოყაშვილი—ჯანდიერისა,** ბაბალე ივანეს ასული: სხვადასხვა ადგილები, მიწა ზომით 2 დეს. 590 ოთხ-კ. საჟ. ახმეტას საგარაკოში.

თავნი ვალი 140 მ., შესატანი გარდასახადი 22 მ. 64 კ., სულ—162 მ. 64 კ.




მომღონიერებელი სასმელი ლაშქრისა და ფლოტისათვის,
აგრეთვე სასარგებლო სახმარი საველე ქსენონებსა და წითელის ჯვრის საავადმყოფოებში,
როგორც ავადმყოფთა გამაჯანმრთელებელი სასმელი.
ერთ გირვანქიდგან გამოდის 100 ფინჯანი.
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія)

(2—2)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოდის 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.
„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.
რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.
რედაქცია ეცდება ხშირად ჩაურთოს „ჯეჯილი“-ს ნომრებში ნახატები ფერადის წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.
ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო საბჭოებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.
ჟურნალი „ჯეჯილი“ **ტფილისში** დატარებით ღირს 4 მან., **ტფილისს** გარეშე გაგზავნით 5 მან., ნახევარის წლით 2 მან. 50 კ., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).
**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.
რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმ.-წერეთლისა.**

## ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 იანვარისათვის 1905 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული) . . | 55884 | 37 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ . . | 547 | 78 |
| III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ . . . . . . . . . | 1327 | 75 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი ა) უზრუნველ-ყოფილნი: . . 1574—00 ბ) არა უზრუნველ-ყოფილნი 8322—00 | 9896 | — |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათარიგო თანხას საკუთვნონი . . . . . . . . . . . . . | 8740 | — |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი . . . . . . . . | 276240 | 25 |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი უზრუნველ-ყოფილი სიფლის უძრავის მამულით . . . . . | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები . . . . . . | 5186 | 58 |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ. . | — | — |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . . 19966—00 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ . 63222—75 გ) საქონელზედ . . . . . . 22016—00 დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 3475—00 | 108679 | 75 |
| XI. გარდახდილი პროცენტები . . . . . . . . | 17575 | 52 |
| XII. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ . . | 687 | 55 |
| XIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | 214 | 46 |
| XIV. მოწყობა და მომართვა . . . . . . . . | 2159 | 14 |
| XV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 101298—21 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 48098—31 | 149396 | 52 |
| XVI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ . . . | 124 | 58 |
| XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . | 483 | 26 |
| XVIII. მიმდინარე ხარჯები . . . . . . . . | 16939 | — |
| XIX. გადასატანი ჯამი . . . . . . . . . . | 881 | 60 |
| ბალანსი | 655464 | 11 |

**პასივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 777 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან . . . . . . . . . . . . . | 86571 | — |
| II. სათადარიგო თანხა: . . . . . . . . . . . | 9386 | 38 |
| III. %% კუპ. %% სარგ. ქაღ. სათად. თანხისა . . | 328 | 87 |
| IV. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . . . . . 159710—02 ბ) ვადით . . . . . . . . . . 152290—06 გ) უვადოთ . . . . . . . . . . . 800—00 | 312800 | 08 |
| V. გარდამავალი თანხა . . . . . . . . . . | 2887 | 55 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . . | 2274 | 83 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავალისა . . . . . . . . . . . . . | 347 | 08 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 12 §§-ის თანახმად . | 1056 | — |
| IX. გასაგზავნათ მიღებული თანხა . . . . . . . | — | — |
| X. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) . . . . 54987—26 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro . . . . 80398—21 | 135385 | 47 |
| XI. სპეციალ. მიმდინარე აიგარიში სახელმ. ბანკის ტფილისის განყოფ . . . . . . . . . . . | 165 | 93 |
| XII. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ. ბანკის განყოფილებაში . . . . . . . . 47450—00 სხვა ბანკებში . . . . . . . . . . . 12100—00 | 59550 | — |
| XIII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლ. . . . . | 3960 | 74 |
| XIV. მიღებული სარგებელი . . . . . . . . . | 40410 | 71 |
| XV. მოგება და ზარალი 1904 წლისა . . . . . | 313 | 50 |
| XVI. განუყოფელი დარჩენილი ფული 1903 წ. . . . | 25 | 97 |
| ბალანსი . | 655464 | 11 |
| პასუხის-მგებლობა 777 წევრ. 10%-იან შემოსატან გარდა. | 779139 | — |
| საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება . . | 5700 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . . . | 8245 | 3[illegible] |
| უზრუნველ-ყოფილი კორესპ. ანგირიშით . . . . . | 6465 | [illegible] |



ელექტრონითმბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.